პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
სამშაბათი
18
სექტემბერი
1934
№ 217 (4073)

დღეს ნომერში

- უცხოეთის პრესის გამოხმაურება ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლაზე.
- ამერიკის შეერთებული შტატები და მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში.
- საბრალმდებლო აქტი ტელმანის საქმის გამო.
- რომენ როლანი ტელმანის შესახებ.
- საერთაშორისო ვითარება „ბერლინერ ტაგებლატის" გაშუქებით.
- იაპონია მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენელნი სთხზავენ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების ბრალდებებს.
- ამხ. პოლონსკის გამოსვლა მოსკოვის კვანძის მუშაკთა თათბირზე.
- ამიერ-კავკასიამ შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა.

ჭარხლის რაიონთა პარტორგანიზაციების ღირსების საქმე

დაიწყო შაქრის ჭარხლის აღება. ქართლის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებში უკვე დასძრეს ჭარხლით დატვირთული წითელი ქარავნები სახელმწიფო მიმღები პუნქტისაკენ. კიდევ რამოდენიმე დღე და ჭარხლის აღებას მასობრივად შეუდგება ჭარხლის რაიონის თვითეული სოფელი, თვითეული კოლმეურნეობა.

შაქრის ჭარხალი ჩვენში ახალი კულტურაა. სულ მესამე წელიწადია, რაც ხდება სამრეწველო მაშტაბით დათესილი ჭარხლის აღება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დააგროვეს მდიდარი გამოცდილება ჭარხლის მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჭარხლის მოსავალი ჩვენში წლითი-წლობით დიდდება.

ჭარხლის აღებაში წელს ორგანიზებულად დარაზმვის ნიმუშებს გვაძლევენ კოლმეურნეობები. სტალინისის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედი", „განთიადი" და „ოქტომბერი" ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ჭარხლის მოსავლის აღებას. შარშან ეს კოლმეურნეობები მოსავლის აღებიდან 10-15 დღის შემდეგ კიდევ აბარებდნენ ჭარხლის დანიშნულებისამებრ გადაზიდვას. წელს კი ზემოხსენებულ კოლმეურნეობებს 15 სექტემბერს ამოთხრილი ჭარხალი 16 სექტემბერს ჰქონდათ გასუფთავებული და ჩაბარებული სტალინისის მიმღებ პუნქტში.

დამკვრელური მუშაობის ასეთსავე ნიმუშებს გვაძლევენ გორის რაიონის სოფ. კარალეთის, ხურვალეთის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ყველა კოლმეურნეობა სათანადოდ მომზადებული შეხვდა ჭარხლის აღებას. სრულიადაც არა. ავილოთ თუნდაც იმავე სტალინისის რაიონის ოქროსოფლის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თასოშვილი). ჭარხლის მასობრივი აღების დრო უკვე დადგა, კოლმეურნეობას კი დღემდე არ მოუმარაგებია საჭირო რაოდენობის ფიწლები, ჭარხლის ამოსათხრელები, დანები და არ შეუკეთებია ურმები. სოფ. [illegible] კოლმეურნეობას აკლია ჭარხლის აღებისათვის საჭირო ინვენტარის 50 პროცენტი.

კასპის რაიონში ზოგიერთ საკოლმეურნეო ბრიგადამდე კიდევ არ არის დაყვანილი ჭარხლის აღების ოპერატიული გეგმა.

გარდა ამისა ირკვევა, რომ „საქსოფლმომარაგება" (მმართველი ამხ. ჭოლოკავა) ძლიერ სუსტად ასრულებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებას, რომელიც ჭარხლის რაიონებისათვის საჭირო ინვენტარის მიწოდებას შეეხება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ არის დამთავრებული მოსამზადებელი მუშაობა ჭარხლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ჯერ კიდევ ბევრია ამ საქმეში ხარვეზი, რომელიც თუ დროულად არ გამოსწორდა, ცხადია, დიდ უარყოფით გავლენას მოახდენს აგარის შაქრის ქარხნის მუშაობაზე.

საჭიროა სასწრაფოდ მუშაობის პროცესში გასწორდეს ჭარხლის აღების პირველ დღეებში შემჩნეული ნაკლოვანებანი. მიღებულ იქნას ყველა ზომა ჭარხლის ამოთხრისა და გადაზიდვის დამკვრელი ტემპების გაშლისათვის.

ამასთან, საჭიროა ჭარხლის აღების გეგმის დროულად დაყვანა თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე, ჯგუფამდე; საჭიროა ქალებისა და მოზარდების ენერგიულად ჩაბმა მუშაობაში, ტრანსპორტის ადგილობრივ საშუალებათა მთლიანად გამოყენება, მიმღები პუნქტების ჯეროვანი მოწყობა, დახმარების გაწევა ერთპიროვნულ მეჭარხლეთათვის და ჭარხლის დაცვა დატაცება-გაფუჭებისაგან.

ჭარხლის მოსავლის აღება დროზე, უდანაკარგოდ, და აგარის შაქრის ქარხნის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა — აი ჭარხლის რაიონების პარტორგანიზაციათა და პოლიტგანყოფილებათა ღირსების საქმე.

◆ ◆ ◆

გარდავქმნათ კომკავშირის მუშაობა

სადაც გაგებული იქნა გარდაქმნის დედაარსი, მიღწეულია კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობაში გაუმჯობესება. ლაყბობა და რეზოლუციებით ხელმძღვანელობა შეცვლილია კონკრეტული ყოველდღიური ხელმძღვანელობით.

მაგრამ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განა ყველგან სწორად გარდაქმნეს თავის მუშაობა მე-17 პარტყრილობის და საქ. კომკავშირის ც. კ.-ის მე-9 პლენუმის დირექტივების საფუძველზე?

სრულიადაც არა. კომკავშირის ზოგიერთმა ორგანიზაციამ ვერ გაიგო გარდაქმნის დედაარსი. კომკავშირის კომიტეტები, რომლებიც მოწოდებულნი არიან უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ პირველად კომკავშირის ორგანიზაციებს, ასწავლონ მათ მუშაობის ახლებურად მოწყობა კონკრეტულ [illegible], ხშირად გაურბიან ამას იმიტომ, რომ ის მოითხოვს კონკრეტულ ხელმძღვანელობას, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ კომკავშირის ზოგიერთი მუშაკები.

კომკავშირის ზოგიერთ რაიკომს მოაკლდა მათი მუშაობიდან ძირითადი — კომკავშირის ჯგუფების ხელმძღვანელობა. ეს ფაქტი გარკვევით მოწმობს იმას, რომ კომკავშირის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ გაიგეს საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილება, სადაც ჯერ კიდევ ლაპარაკი იმაზე, რომ ძირითადი რგოლის — ჯგუფური რგოლის როლის და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა გარდაქმნის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს.

კომკავშირის ზოგიერთმა ორგანიზატორმა არ იციან, როგორ მოაწყონ მუშაობა. მაგ. ლალისყურის (თელავის რაიონი) კოლმეურნეობის [illegible] კომკავშირის ორგანიზატორმა განაცხადა: „მე კომკავშირის მუშაობის გამოცდილება არ მქონდა. ამირჩიეს ორგანიზატორად; მეგონა დამეხმარებოდნენ. მაგრამ არავინ არ მეხმარება მუშაობაში. მე კი არ ვიცი, როგორ მოვაწყო ახლებურად მუშაობა და როგორ ჩავატარო „საკავშირო დღეები"". ეს ფაქტი მეტად სავალალოა და, სამწუხაროდ, იგი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

კომკავშირის რაიკომების ინსტრუქტორები, რომლებიც მიდიან ძირეულ ორგანიზაციებში, კი არ ასწავლიან პირველად ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, როგორ მოაწყონ მუშაობა, არამედ იღებენ ცნობებს, თუ როგორ შესრულდა გეგმები, როგორ მონაწილეობენ მიმდინარე კამპანიებში. ასეთი პრაქტიკა უნდა მოისპოს.

ინსტრუქტორების მთავარი ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ კომკავშირის კომიტეტს მისცენ სიგნალი შინაგანი დეფექტების შესახებ, არამედ აგრეთვე იმაშიც, რომ დახმარება გაუწიონ პირველად ორგანიზაციებს მუშაობის ახლებურად მოწყობაში.

ზოგან თითქმის სრულებით არ აქცევენ ყურადღებას კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მუშაობას. მაგ. სოფ. [illegible] ([illegible] რაიონი) კომკავშირის პირველადი ორგანიზაციას არც რაიკომი და არც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობას არ უწევს; კომკავშირის მუშაობა კი ჩაშლილია.

კომკავშირის როლი უფრო და უფრო ძლიერდება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ამიტომ კომკავშირის მუშაობის გარდაქმნას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას დღემდე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ არ ხელმძღვანელობენ. არ კმარა საერთო მიმართულების მიცემა და რამდენიმე თვის შემდეგ კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკების მოსმენა. საჭიროა კონკრეტული ხელმძღვანელობა. კომკავშირის მუშაობის გარდაქმნა თვითეულ პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა.

მშვიდობიანობის განმტკიცების უდიდესი ისტორიული მოვლენა

გამოხმაურება ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლაზე

გერმანია

ბერლინი, 17 სექტემბერი. გერმანიის მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ჟენევიდან მიღებულ დაწვრილებით ცნობებს საბჭოთა კავშირისათვის ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობის შესახებ და იმ მიწვევის შესახებ, რომელიც გაეგზავნა საბჭოთა კავშირს ერთა ლიგაში შესვლის საკითხზე. დღევანდელი გაზეთები თავს იკავებენ საკუთარი კომენტარიებისაგან. მხოლოდ პაულ შეფერი „ბერლინერ ტაგებლატში" ჩერდება იმაზე, რომ ყველა სახელმწიფოს არ მოუწერია ხელი საბჭოთა კავშირის მიწვევაზედ და წერს: „მაგრამ ყოველივე ეს დეტალებია: **ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლა ახლა უკვე მომხდარი ფაქტია".**

იაპონია

ტოკიო, 17 სექტემბერი. ყველა გაზეთი ყოველგვარი კომენტარიების გარეშე თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ჟენევიდან მიღებულ ცნობას ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიწვევისა და ამ მიწვევაზე საბჭოთა კავშირის პასუხის შესახებ. (ტას).

საფრანგეთი

პარიზი, 17 სექტემბერი. საფრანგეთის მთელი პრესა ათავსებს ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიწვევის ტექსტს და ამხ. **ლიტვინოვის** პასუხს.

„ტანი" საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში უძღვნის მოწინავე წერილს, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მიწვევას აფასებს სახელმწიფოების იმ ნაბიჯად, რომელიც ნაკარნახევია **„მშვიდობიანობის დაცვის და ორგანიზაციისათვის სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და გაერთიანების აუცილებლობით".**

„საბჭოთა კავშირის შესვლა ერთა ლიგაში, — წერს გაზეთი, — საერთო თვალსაზრისით წარმოადგენს **უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს საერთაშორისო პოლიტიკაში,** რომ ვინმემ გაბედოს ჟენევაში იკისროს პასუხისმგებლობა ამ საქმის შეფერხებისათვის".

„ერ ნუველის" სიტყვით, არავის ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ დასტოვა ჟენევა იმ მიზნით, რომ მოიპოვოს მოქმედების თავისუფლება, რათა დაარღვიოს კაცობრიობის უფლებანი. ასეთი იყო მუდამ საფრანგეთის თვალსაზრისი და სწორედ ამიტომაა, რომ მისი ხელმძღვანელები არიან საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლის ასეთი ენერგიული და დარწმუნებული მომხრეები.

„ენტრანსიჟანი" აღნიშნავს, რომ იაპონიის და გერმანიის გამოსვლამ ერთა ლიგიდან, რომლებმაც დაინახეს, რომ მათი აგრესიის პოლიტიკა არ ითანხმება ერთა ლიგის მოთხოვნილებებს, დააჩქარა ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის საკითხის გადაჭრა.

ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლისადმი საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობის კეთილგანწყობილ დამოკიდებულების ფონზე განირჩევა „ლიბერტეს", „ჟურნალის" და „მატენის" მკაცრი ანტისაბჭოთა კამპანია.

ინგლისი

ლონდონი, 17 სექტემბერი. ყველა გაზეთი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის მიწვევის ტექსტს და ამხ. **ლიტვინოვის** პასუხს. „მანჩესტერ გარდიანის" ჟენევის კორესპონდენტი, ეხება რა ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიწვევას, წერს: „არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ეს წარმოადგენს **უდიდეს ისტორიულ მოვლენას.** მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, — აცხადებს იგი, — ამ ფაქტს სთვლის ისეთ გარემოებად, **რომელიც ამტკიცებს მშვიდობიანობის პოზიციებს და მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ემუქრება მშვიდობიანობას".**

იტალია

რომი, 17 სექტემბერი. „მესაჯერო", ათავსებს რა ცნობას ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიწვევის და საბჭოთა კავშირის [illegible] პასუხის შესახებ, აღნიშნავს, რომ შვეიცარიის, აგრეთვე ზოგიერთ სხვა [illegible] განწყობილი წრეების [illegible], ერთსულოვნად გამოთქვეს კმაყოფილება მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების გამო.

◆ ◆ ◆

საერთაშორისო ვითარება „ბერლინერ ტაგებლატის" გაშუქებით

ბერლინი, 16 სექტემბერი. ბატონი შეფერი აშკარად უკმაყოფილოა ევროპის თანამედროვე მდგომარეობით. „ბერლინერ ტაგებლატის" კვირის ნომრის მოწინავე სტატიაში შეფერი მოგვითხრობს „იმ დეზორგანიზაციისა" და ნერვიულობის გამო, რომელიც ევროპაში სუფევს. გერმანიის გამოკლებით, რომელიც სიმშვიდეს ინარჩუნებს, მთელი ევროპა ღელავს.

რაში მდგომარეობს, შეფერის აზრით, ევროპის „დეზორგანიზაცია" და „ნერვიულობა".

ავილოთ, — წერს იგი, — ავსტრია. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებს გაუჩნდათ ახალი დოგმა: „ავსტრია საჭიროებს თავისი დამოუკიდებლობისა და შინაგანი განვითარების თავისუფლების გარანტიას".

ევროპის „ნერვიულობა" იქამდეც კი მივიდა, რომ... გერმანიას წინადადებას აძლევენ მონაწილეობა მიიღოს ამ გარანტიაში. შეფერი აღშფოთებით უარყოფს ავსტრიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პაქტში გერმანიის მონაწილეობის აზრს. რადგან გერმანიას განზრახ შეთხზულ ბრალს დებენ, რომ „დამოუკიდებელ ავსტრიას თავს ესხმის", შეფერს აუცილებლად მიაჩნია, რომ გერმანიამ... უარი თქვას ავსტრიის დამოუკიდებლობის საგარანტიო პაქტში მონაწილეობაზე. ახირებული ლოგიკაა! უფრო მეტი, შეფერი ფიქრობს, რომ თუ „გერმანია შეუერთდება, ასეთი პაქტი უნდა განვიხილოთ, როგორც გერმანიის წინააღმდეგ ფრონტის ორგანიზაცია".

შეფერის ყველა ეს ეჭვები ლოგიკურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ნამდვილად აპირებს დაიპყროს ავსტრია. მაშინ გასაგებია, რომ ავსტრიის დაცვის ყოველგვარი ცდა იქნება მტრული აქტი გერმანიის მიმართ.

ჩერდება რა შემდეგ აღმოსავლეთის პაქტის საკითხზე, შეფერი მასაც სთვლის „შემთხვევითი დაძაბულობის, გაუგებრობის, აწეული ტემპერატურის" ნაყოფად. შეფერი ფიქრობს, რომ საფრანგეთი ტყუილად უკავშირდება საბჭოთა კავშირს; რომ ეს კავშირი შემდეგ შეიძლება გადაიქცეს „პირველხარისხოვან დაბრკოლებად" საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების საქმეში. „ეს, — იმუქრება შეფერი, — ხელს შეუშლის ბევრ რამეს, რასაც შეეძლო დადებითი გავლენა მოეხდინა საფრანგეთ-გერმანიის სამეურნეო და პოლიტიკურ ურთიერთობაზე".

შეფერი შემდეგ ლაპარაკობს გერმანიის მისწრაფებაზე გამართოს ნორმალური დისკუსია იმათთან, ვინც ახლა მის მოწინააღმდეგეთა როლში გამოდის. შეფერი მოწყალებით თანხმდება ერთა ლიგის არსებობაზე, რამდენადაც გამოურკვეველია, თუ ვინ დაიკავებდა მის ადგილს. და საერთოდ გერმანია „კონსერვატიულად, ევოლუციონისტურად აზროვნობს და მას იგივე სურს სხვა სახელმწიფოებისაგან".

შეფერის მთელი სტატიის საკმაოდ გამჭვირვალე აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიას არ სურს იკისროს რაიმე ვალდებულება, რომელიც შეზღუდავს მის საკუთარ მოქმედებას, ე. ი. ექსპანსიას. გერმანიას სურს, რომ ყველამ დაუჯეროს მის სიტყვიერ მშვიდობისმოყვარეობას, „ახლა, როგორც ბ-ნი შეფერი ამბობს, — ნერვიული ხანა დადგა. ლიტონ სიტყვას არავის უჯერებენ"!

◆ ◆ ◆

საბრალმდებლო აქტი ტელმანის საქმის გამო

პარიზი, 16 სექტემბერი. ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი აქვეყნებს ტელმანის საქმეზე შედგენილ საბრალმდებლო აქტის შინაარსს.

საბრალმდებლო აქტი სავსეა ტელმანის სიტყვებიდან ამოგლეჯილი ცალკეული ფრაზებით. ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატები უნდა იქნეს ის მასალა, რომლის საფუძველზედაც ტელმანს უნდა დასდონ ბრალი იმაში, რომ იგი მოუწოდებდა ძალადობისა, აფეთქებისა და ტერორისტული აქტებისათვის. იმავე დროს ამ ამოგლეჯილი ფრაზების მიზანს შეადგენს მისცენ საბრალმდებლო აქტს დოკუმენტალური ხასიათი.

საბრალმდებლო მასალა შეიცავს „აჯანყების გიგანტურ გეგმას".

ბერლინიდან მიღებული ცნობებით, არსებობს შიში, რომ ტელმანის საქმის გარჩევა დაიწყება მოულოდნელად და ჩატარდება ძალიან სწრაფად დახურულ კარებში. პროცესის ორგანიზატორები ცდილობენ სახტად დასტოვონ საზოგადოებრივი აზრი. ჰერინგს სურს აიღოს ტელმანის პროცესზე რევანში იმ დამარცხებისათვის, რომელიც მან იგემა დიმიტროვის პროცესზე.

ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტმა, [illegible] კომუნისტი მუშის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, გერმანიის რეიხსკანცლერს გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ამ ახალი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

დეპეშას ხელს აწერენ ჟიდი, ლანჟევენი, მარლო, რომენ როლანი და ტორეზი (ტას).

რომენ როლანი ტელმანის შესახებ

პრაღა, 16 სექტემბერი. („პრავდას" საკ. კორესპ.). როგორც „როტე ფანე" (პრაღაში გამოდის) იუწყება, რომენ როლანმა, რომელიც არჩეულია ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ, კომიტეტს მიმართა წერილით, სადაც ნათქვამია:

„ტელმანი ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე გაბედული, პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი, როგორიც იყო მუდამ. იგი გახდა სიმბოლო ჯერ-ჯერობით დამარცხებულ, მაგრამ უძლეველი პროლეტარიატისა, რომელიც გაიმარჯვებს ხვალ. იგი არის ჩვენი ინტერნაციონალიზმის დროშა" (ტას).

◆ ◆ ◆

იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენელნი სთხზავენ დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების ჩვენებებს

ხაბაროვსკი, 15 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, იაპონია-მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენელნი დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების დაკითხვის დროს თვითნებურად სთხზავენ მათ ჩვენებებს, რათა ამგვარი ყალბი საბუთებით განამტკიცონ უაზრო ვერსია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საბჭოთა მუშაკების „შეთქმულების" შესახებ. მაგალითად, მანჯურიის სადგურის მოლარეს რომანიუკს, რომელიც დააპატიმრეს 10 სექტემბერს, სამსახურებრივ მოვალეობათა ასრულების დროს, ხელმოსაწერად წარუდგინეს დაკითხვის აქტი, შედგენილი იაპონურ ენაზე. რომანიუკმა პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ მან არ იცის იაპონური ენა და არ სჯერა ჩანაწერის სისწორე, რამდენადაც მისი ჩვენების მეტი ნაწილი საერთოდ არ ყოფილა გადათარგმნილი. სანაპირო-საპოლიციო რაზმის მოხელეებმა ძალით აიძულეს რომანიუკი ხელი მოეწერა დაკითხვის აქტზე, რის შემდეგ რომანიუკი განთავისუფლებულ იქნა რაიმე ბრალდების წარდგენის გარეშე. დაკითხვის ასეთივე „მეთოდები" გამოიყენეს მანჯურიის სადგურზე 7 სექტემბერს დაპატიმრებულ ცეცხლფარეშის პილინკის მიმართ, რომელიც აიძულეს ხელი მოეწერა იაპონურ ენაზე შედგენილ მისთვის გაუგებარ დოკუმენტზე. (ტას).

ამერიკის შეერთ. შტატ. და შორეული აღმოსავლეთი

ბერლინი, 16 სექტემბერი. (ტელეფონით) „ბერლინერ ბერზენცაიტუნგის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იძლევა იმ განწყობილების დამახასიათებელ სურათს, რომელიც მეფობს ამერიკის შეერთებულ შტატებში შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

„მიუხედავად შინაგანი კრიზისებისა, დეპრესიისა და გაფიცვებისა, იაპონური საფრთხე განუწყვეტლივ დგას ამერიკის თვალწინ". მთელი ამერიკის პრესა, — აღნიშნავს გაზეთი, — გამსჭვალულია მკვეთრი ანტი-იაპონური განწყობილებით, სამაგიეროდ თბილად და ზოგჯერ ალერსიანად სწერენ ამერიკული გაზეთები წითელ არმიასა, მის შეიარაღებისა და საბრძოლო მნიშვნელობაზე. ეს მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი ამ საკითხში ასახავს სხვადასხვა მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ინტერესთა ერთიანობას. მუშათა წრეები, რომლებიც გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებენ ცხადია, მხარს უჭერენ რუსეთისადმი მეგობრულ პოლიტიკას. ბანკები და ინდუსტრია საბჭოთა კავშირში ხედავენ ამერიკული საქონლის მსხვილ მომხმარებელს და არ სურთ გაართულონ მისი მდგომარეობა. მთავრობა საბჭოთა კავშირში ხედავს იაპონიის სერიოზულ მოპირდაპირე ძალას. საბჭოთა კავშირისადმი მტრულად არიან განწყობილი ამერიკაში, — წერს გაზეთი, — მხოლოდ ეკლესია და ზოგიერთი რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება.

ერთა ლიგა და საბჭოთა კავშირი

„იზვესტია"-ს მოწინავე 17/IX

ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა უმრავლესობამ მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას და მიიწვია იგი შევიდეს ლიგაში და „ვასწიოს მასთან თავისი დიდად დასაფასებელი თანამშრომლობა" „მშვიდობიანობის მხარის დაჭერის და ორგანიზაციის მისიის" შესასრულებლად. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით თანხმობა განაცხადა შევიდეს ერთა ლიგაში და დაიკავოს იქ შესაბამისი ადგილი მშვიდობიანობისათვის იმ ბრძოლის განსაგრძობად, რომელსაც საბჭოთა კავშირი განუხრელად აწარმოებდა. ერთა ლიგის საბჭომ გადაწყვიტა მიანიჭოს საბჭოთა მთავრობას მუდმივი ადგილი თავის რიგებში და ურჩია ერთა ლიგის ასამბლეას მოიწონოს ეს გადაწყვეტილება.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მთავრობის მიწვევა ერთა ლიგის წევრთა უმრავლესობის მიერ და საბჭოთა მთავრობის თანხმობა მიიღოს ეს მიწვევა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ერთა ლიგა აღმოცენდა, როგორც ორგანიზაცია გამარჯვებულ სახელმწიფოებისა, რომელთაც იკისრეს ამოცანა მოეწყოთ მსოფლიო თავიანთი ნებასურვილის მიხედვით. მახვილი მიმართული იყო არა მარტო ომში დამარცხებული ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ მშრომელთა პირველ სახელმწიფოს წინააღმდეგაც, რომელიც მაშინ შეიქმნა და რომელიც სოციალიზმის [illegible]ლებს. ცდა, რომ რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობისათვის თავზე მოეხვიათ გამარჯვებული კაპიტალისტური სახელმწიფოების ნებასურვილი, ძლევამოსილად იქნა უკუგდებული ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა მასების შეერთებული ძალღონით. მსოფლიო ომში გამარჯვებულებმა ვერ შესძლეს თავისი ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინათ საბჭოთა კავშირი. კაპიტალისტურ მსოფლიოს საერთო სიძულვილით გარემოცულმა საბჭოთა მთავრობამ გამოიყვანა ქვეყანა იმპერიალისტური მსოფლიო ომით და ცალმხრივი ინტერვენციით გამოწვეული ნგრევიდან და წარმართა იგი წინ სოციალიზმის მშენებლობისაკენ. პროლეტარული რევოლუციის და საბჭოთა კავშირის ჩვიდმეტი წლის ისტორიის შედეგად მოყვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური ძლიერების უდიდესი ზრდა. ამ ზრდის საფუძველზე, საბჭოთა კავშირმა შექმნა წითელი არმია, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას იგი ყოველგვარი თავდასხმისაგან. საბჭოთა კავშირის მზარდმა ძლიერებამ არა თუ არ დააყენა იგი სამხედრო ავანტიურების გზაზე, „წითელი იმპერიალიზმის" გზაზე, რომლის შესახებაც კაპიტალისტური ცილისმწამებლები ლაპარაკობდენ, არამედ საბჭოთა კავშირი გახდა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ცენტრი. მან არა თუ ხელი გაუწოდა უახლოეს მეზობლებს და დასდო მათთან თავდაუსხმელობის პაქტები, არამედ იგი ამავე დროს მონაწილეობას ღებულობდა ყველა საშვიდობო კონფერენციაში, რომლებსაც კი ერთა ლიგა იწვევდა, მიუხედავად ამ უკანასკნელის მტრული დამოკიდებულებისა საბჭოების ქვეყნისადმი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს განიარაღების კონფერენციაში და ეკონომიურ კონფერენციებში, რომლებსაც ერთა ლიგა აწყობდა. საბჭოთა კავშირმა წარადგინა სრული განიარაღების ყველაზე უფრო რადიკალური გეგმა. საბჭოთა კავშირის წინადადება არ მიიღეს. მაგრამ საბჭოთა კავშირის გამოსვლებმა განიარაღების კონფერენციებზე თავისი როლი შეასრულეს. საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ იგი არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც საქმით თანამიმდევრულად იცავს მშვიდობიანობის საქმეს. საბჭოთა მთავრობის საშვიდობო პოლიტიკამ აიძულა მრავალი მისი მტერიც კი აღეარებინა მშვიდობიანობისაკენ საბჭოთა კავშირის მისწრაფების გულწრფელობა. საბჭოთა კავშირის შეურყეველი პოლიტიკით მოპოვებულ პოზიციას შედეგად მოყვა ის, რომ ერთა ლიგის წევრთა უმრავლესობამ მიმართა მას წინადადებით შევიდეს ერთა ლიგაში. კაპიტალისტური მსოფლიო ახლა ორ დაჯგუფებად არის დაყოფილი: სახელმწიფოებად, რომელნიც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ომისაკენ არ მიისწრაფიან, ვინაიდან ეს ომი ამ სახელმწიფოებს მათ მონაპოვართა დაკარგვით ემუქრება, — და სახელმწიფოებად, რომელნიც უკმაყოფილონი არიან საქმეთა ახლანდელი მდგომარეობით და მზად არიან მიმართონ ავანტიურისტულ ცდას ომის საშუალებით გამოსავლის გამოსაძებნად. ორმა დიდმა სახელმწიფომ — გერმანიამ და იაპონიამ — დატოვა ერთა ლიგა, რათა მათ თავი გაეთავისუფლებიათ ერთა ლიგის წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებისაგან. მშვიდობიანობით დაინტერესებულ სახელმწიფოებს ესმით მშვიდობიანობისათვის მათი ბრძოლის მთელი უმწეობა საბჭოთა კავშირის მიერ ერთა ლიგაში მონაწილეობის მიუღებლად. ერთა ლიგა, რომელშიც მონაწილეობას არ ღებულობს მშვიდობიანობის საქმის მთავარი დამცველი ქვეყანა, ვერ გამოიწვევს რაიმე ნდობას ხალხთა მასებში. საფრანგეთმა უფრო ადრე, ვიდრე სხვა სახელმწიფოებმა, შეიგნო საბჭოთა კავშირის როლი მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში და იკისრა ინიციატივა განემტკიცებინა ერთა ლიგის სამშვიდობო პოლიტიკა მის მუშაობაში საბჭოთა კავშირის ჩაბმის გზით.

საბჭოთა კავშირისათვის ცნობილია ერთა ლიგის ყველა ნაკლი, რომლებიც გამოხატავენ იქ წარმოდგენილ მთავრობათა სოციალურ ხასიათს. მან იცის, რომ ერთა ლიგას ძალა არ შესწევდა წარსულში მიეღო რაიმე სერიოზული ზომა მშვიდობიანობის საქმის დასაცავად. მაგრამ ამავე დროს იგი ხედავს, რომ ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა ნაწილს სურს დაიცვას მშვიდობიანობის საქმე, ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობა თავის მოვალეობად სთვლიდა დათანხმებულიყო ამ სახელმწიფოთა მიწვევაზე იმისათვის, რომ გამოიყენოს ეს საერთაშორისო დაწესებულება, რომელსაც საომარი ტენდენციების ყველაზე უფრო მკაფიოდ მატარებელ სახელმწიფოთა წასვლის შემდეგ, ჩვენი ბელადის ამხ. სტალინის სიტყვით, შეუძლია „გახდეს ერთგვარი მუხრუჭი იმისათვის, რომ შეაკავოს საომარი მოქმედებათა დაწყება ან ხელი შეუშალოს მათ", აღმოჩნდეს ერთგვარი ბორცვი, „რომ რამდენადმე მაინც გააძნელოს ომის საქმე და ერთგვარად გააადვილოს მშვიდობიანობის საქმე". უკვე ამერიკელ კორესპონდენტ დიურანტისთან საუბრისას, საიდანაც ამოღებულია ზემომოყვანილი სიტყვები, ამხ. სტალინმა თქვა: „თუ ასეთი იქნება ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა, მაშინ არ არის შეუძლებელი, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ ერთა ლიგას, მიუხედავად მისი კოლოსალური ნაკლოვანებებისა". მოვლენათა ისტორიული მსვლელობა სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც ამხ. სტალინმა აღნიშნა, და საბჭოთა კავშირმა თანხმობა განაცხადა ერთა ლიგის მიერ გამოგზავნილ მიწვევაზე.

დადებითად უპასუხებს რა ერთა ლიგის წევრთა უმრავლესობის მიწვევაზე, საბჭოთა მთავრობა არ ივიწყებს იმას, რომ ერთა ლიგაში შემავალი მთელი რიგ სახელმწიფოებისათვის, რომ უკვე არაფერი ვთქვათ იმაზე, რომელთაც იგი დასტოვეს, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნისადმი მტრობა შეიძლება უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე ომის შიში. ამიტომ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივმა აზრმა, რომელიც სავსებით იწონებს საბჭოთა მთავრობის მზადყოფნას შევიდეს ერთა ლიგაში, ერთი წუთითაც კი არ უნდა დაივიწყოს, რომ მშვიდობიანობის საქმე პირველ რიგში დამოკიდებულია ორ ფაქტორზე — ყველა ქვეყნის ხალხთა მასების მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებაზე და საბჭოთა კავშირის სიძლიერეზე. რაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირი, რაც უფრო მტკიცედ იდგომება წითელი არმია მისი საზღვრების სადარაჯოზე, მისი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, მით უფრო შეიშინდებიან იმპერიალიზმის ავანტიურისტები აწარმოონ აგრესიის პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ მათი სრული განადგურებით შეიძლება დამთავრდეს, მით უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირის პოზიცია მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში, რომლის განსაგრძობად ის მზად არის შევიდეს ერთა ლიგაში.

ამიერ-კავკასიამ შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაში ამიერ-კავკასიამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვება. 15 სექტემბრისათვის „ზაგოტზერნოს" ა.-კ. კანტორის ცნობით, ცენტრის მიერ დამტკიცებული სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ის კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ შესრულებულია 100,6 პროც. საქართველოში მარცვლეულის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 104.8 პროც., აზერბეიჯანში — 101,3 პროც. და სომხეთში — 92.2 პროც.

102.4 პროცენტით შესრულებულია აგრეთვე მან.-ტრაქტ. სადგურებისათვის ნატურანაზღაურების ჩაბარების წლიური გეგმა. საქართველოში გეგმა შესრულებულია 101.2 პროცენტით, აზერბეიჯანში — 106.5 პროც. და სომხეთში — 90,1 პროცენტით. სათესლე სესხის დაბრუნების გეგმა ა.-კავკასიაში შესრულებულია 80.3 პროც., სათესლე სესხის დაბრუნების დავალება საქართველოს და აზერბეიჯანის მიერ შესრულებულია.

პურის ჩაბარების მოწინავეთა რიგებში კამპანიის დაწყებიდანვე მიდიოდენ საბჭოთა მეურნეობები, რომლებთაც ეს დავალება შეასრულეს გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით. 15 სექტემბრისათვის საერთოდ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა მეურნეობებმა პურის ჩაბარების თავიანთი გეგმა შეასრულეს 118,7 პროც., ამასთანავე, გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული თვითეულ ცალკე რესპუბლიკაში (სომხეთის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 228,6 პროც., საქართველოს — 112,4 პროცენტით და აზერბეიჯანის — 119,2 პროცენტით).

სამინდე გამოხალების შეგროვების წლიური გეგმა შესრულებულია 21,6 პროც.

პურის ჩაბარების საერთო გეგმა ამიერ-კავკასიაში (სამინდე გამოხალების შეგროვების გამოკლებით) შესრულებულია 101,8 პროც. (აზერბეიჯანში — 104,5 პროც., საქართველოში — 105,8 პროც. და სომხეთში — 86,2 პროც.).

საბჭოთა კავშირში

იცვლება საბჭოთა ქალაქების სახე

ლენინის სუფთა, გამწვანებული ქუჩა ქ. სვერდლოვსკში

ტელმანის სახელობის სანიმუშო მატარებელი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. პირველად გავიდა მარშრუტით მოსკოვ-მინერალნიე-ვოდი-მოსკოვის ტელმანის სახელობის ახალი სანიმუშო მატარებელი.

მატარებლის ყველა კუპე რადიოფიცირებულია. კედლებზე აბაჟურიანი ლამპებია. გამყოლებს აქვთ შაში, ჭადრაკი და დომინო. მატარებლის უკანასკნელ ვაგონში მოწყობილია საგზაო სამკითხველო. ბაქანზე დაფენილია ნოხები (ტას).

მენდელეევის ყრილობის დელეგატები მოსკოვში

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს მენდელეევის ყრილობის საბჭოთა დელეგატებთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდენ ამ ყრილობის უცხოელი მონაწილენი. უცხოელმა მეცნიერებმა დაათვალიერეს ქალაქი, ხოლო საღამოს ისინი დაესწრენ პროფ. სვენტოსლავსკის მოხსენებას მოსკოვის 1-ლ სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოხსენება შეეხებოდა წმინდა სხეულთა მიღების ახალი ხერხის საკითხს (ტას).

ამხ. პოლონსკის გამოსვლა მოსკოვის კვანძის მუშაკთა თათბირზე

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოში შედგა მოსკოვის კვანძის გზათა და განყოფილებათა პოლიტგანყოფილების მუშაკების, აგრეთვე პარტორგების თათბირი. მოხსენებით ორგანიზაციული, პარტიული და მასობრივი მუშაობის შესახებ რკინისგზის ტრანსპორტზე გამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. პოლონსკი. თავის გამოსვლაში ამხ. პოლონსკი დაწვრილებით შეჩერდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებაზე რკინის გზის ტრანსპორტის ძირეული პარტორგანიზაციების სტრუქტურის შესახებ. თათბირზე გამოვიდნენ მოსკოვის კვანძის პოლიტგანყოფილებათა მთელი რიგი მუშაკები და პარტორგები, რომლებმაც ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული მუშაობის გამოცდილება (ტას).

საბჭოთა მხატვრების სურათების გაყიდვა გამოფენაზე ვენეციაში

მოსკოვი, 16 სექტემბერი. უცხოეთთან კულტურული დაკავშირების საზოგადოების მიერ მიღებული ცნობებით, ხელოვნებათა მე-19 საერთაშორისო გამოფენაზე ვენეციაში საბჭოთა პავილიონმა გაყიდა საბჭოთა მხატვრების შემდეგი სურათები: ვილიამსის სურათი „ავრორის მეზღვაურები", რომელიც შეიძინა საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარემ ვოლპიმ; მან ეს სურათი [illegible] საზოგადოებას, რომლის პრეზიდენტიც ის არის. [illegible] სკულპტურა შეიძინა რომის ეროვნულმა გალერეამ. გაიყიდა აგრეთვე გერასიმოვის სურათი — „შემოდგომა" და სტარონოსოვის — „ლენინი და პლეხანოვი ჟენევის მიტინგზე". (ტას).

სად. ნავთლუღი
კარგ მაგალითს იძლევა

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში შემოდგომა - ზამთრის პერიოდი ყველაზე პასუხსაგები პერიოდია, რადგან ტვირთზიდვა ამ დროს განსაკუთრებით იზრდება. ამ მუშაობიდან გამარჯვებული გამოვა ის გზა, ან მისი ის ცალკე სამეურნეო ერთეული (სადგური, დეპო, დისტანცია), რომელიც ზაფხულშივე მოემზადება ზამთრისათვის.

ეს კარგად ესმის სად. ნავთლუღის პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათ კარგად აქვთ შეგნებული შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის დროულად და კარგად მომზადების მნიშვნელობა. ამის ბრალიცაა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები თავის დროზე შეუდგნენ შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადებას. ეს საკითხი სადგურის მეურნეობის მუშათა საერთო კრებაზე დამუშავდა, გაიშალა შეჯიბრება და დამკვრელობა, როგორც ჯგუფებს, ისე ცალკეულ მუშებს შორის საუკეთესო დამკვრელებმა იმერლიშვილმა, ნონიკაშვილმა, ტატიშვილმა, ჯორბენიძემ, ქვრივიშვილმა და სხვებმა, აიღეს კონკრეტული ვალდებულებები. სადგურის ადმინისტრაციამ შეადგინა შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადების სამუშაო გეგმა და გაშალა მუშაობა მის განსახორციელებლად.

წარმოებს სადგურის შენობის შეკეთება, მისი კეთილმოწყობა: იდგმება რადიო, ეწყობა უპატრონო ბავშვთა მიმღები პუნქტი, ფართოვდება მგზავრთა მოსაცდელი ოთახები, ასფალტით იგება სადგურის წინა და უკანა ბაქანი:

მატარებლების შეუფერხებელი მოძრაობისა და ვაგონების დაუბრკოლებლად გადამუშავების მიზნით, ლიანდაგის სამი ხაზი საფუძვლიანად შეკეთდა, გამოიცვალა ძველი შპალები და დაიწყო მუშაობა ლიანდაგებში გაჩენილი ორმოების ამოსავსებლად.

იმ ისრების მოვლა-დასუფთავებისათვის, რომელთაც მეისრეები ემსახურებიან, გამოყოფილია 4 კაცი.

სადგურში არსებული მატარებლების გასარჩევი ფარეხი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას და რომ შემოდგომა ზამთრის პერიოდში ამის გამო ადგილი არ ექნეს მუშაობის შეფერხებას, სადგურის ადმინისტრაცია შეუდგა ახალი ფარეხის მოწყობას. ამისათვის გამოყოფილია ადგილი კახეთის ნავთლუღში 4 ლიანდაგით, სადაც მე-7 სალიანდაგო დისტანციას ახლა სინათლე გაჰყავს და ცვლის შპალებს. ფარეხი დამთავრებული იქნება შესაფერისად ამ სამუშაოთა შესრულებაში სადგურს მე-2 საექსპლოატაციო განყოფილება სათანადო დახმარებას უწევს. მშენებლობაში აღებულია ისეთი ტემპები, რომ იგი 1 სექტემბრამდე დამთავრებული უნდა იქნეს.

სადისპეტჩერო აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად ლიანდაგებს შორის ეწყობა საკომანდო კოშკი. მის ასაშენებლად მე-7 სალიანდაგო დისტანცია აგროვებს საჭირო მასალებს ამასთან წარმოებს საწყობის შეკეთება. ლიანდაგების მარცხენა მხარეზე გაჰყავთ არხები.

ინჟ. **კავთიაშვილის** ხელმძღვანელობით გამოყოფილი კომისია ამოწმებს ორთქლმავლებისათვის წყლის მაწოდების მდგომარეობას, ხოლო ლ. **კომახიძის** ხელმძღვანელობით შექმნილი იქნა დატვირთვა - გადმოტვირთვისათვის საჭირო იარაღები. ამჟამად მტვირთავი მუშებისათვის (30 კაცის) შენდება საერთო საცხოვრებელი და გაღებულია თანხები მუშებისათვის საზამთრო სპეცტანსაცმლების შესაძენად.

სადგურის ხელმძღვანელებმა, ტვირთზიდვის გართულების პერიოდში მუშახელის სიმცირისათვის თავის დასაღწევად გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი; შეაგროვა 5 მწონავი და 4 მეისრე. აგრეთვე მიღებულია ზომები საჭირო მუშა - ხელის ორგანიზებულად შეგროვებისათვის.

იმ მიზნით, რომ კლიენტურა და სადგური უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, და ორთავე ერთად იბრძოდნენ ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისთვის, სად. ნავთლუღის მეურნეობის ხელმძღვანელები 20 აგვისტოს მოაწყობენ კლიენტურასთან თათბირს, სადაც დამუშავდება შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადების საკითხი და დასახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ნორმალური მუშაობისათვის.

სად. ნავთლუღის პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვისათვის მომზადებულად შეხვედრის მიზნით აქეთი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა თავდებია იმისა, რომ სად. ნავთლუღი რომელმაც მიიღო პირველობა ამ.-კ. რკინიგზაზე შემოდგომა ზამთრის პერიოდშიაც შეინარჩუნებს მას.

ამიერ - კავკასიის რკინიგზის დანარჩენმა სადგურებმა, დეპოებმა, სარემონტო ქარხნებმა და დისტანციებმა უნდა მიბაძონ სად. ნავთლუღს ისწავლონ მისგან როგორ უნდა შემოდგომა ზამთრის ტვირთზიდვისათვის წინასწარ მზადების გაშლა.

რკინიგზელი.

მამათელების საპასუხოდ

(სტალინისის რაიონი)

კეხიჯვრის სასოფლო საბჭომ განიხილა მამათის სას. საბჭოს აქტივის გამოწვევა საბჭოს საანგარიშო საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე ჩაება სოცშეჯიბრებაში და აიღო მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები.

სას. საბჭომ იკისრა საშემოდგომო თესვის მაღალხარისხით დამთავრება, შაქრის ჭარხლის უდანაკარგოთ და ათი დღით ვადაზე ადრე აღება, მეცხოველეობის განვითარება და კოლმეურნეთა ძროხებით უზრუნველყოფა კოლმეურნეობებში მოსავლის წესიერად განაწილება და სხვ.

კეხიჯვრის სასოფლო საბჭომ ამ ვალდებულებათა უკეთ განახორციელებისათვის თავის მხრივ სოცშეჯიბრში გამოიწვია რაიონის ყველა სასოფლო საბჭო.

ტ. გოზალოვი

აგრ. ა. ბჟეკელავა

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ რთველს

რთველი მევენახეობაში ყველაზე სახალისო დროა, მაგრამ, ამავე დროს ფრიად საპასუხისმგებლო.

რაც უნდა მაღალხარისხოვანი ჯიშის ვაზი გვქონდეს გაშენებული, კარგი და ჯანსაღი იყოს ყურძნის მოსავალი, თუ რთველს მომზადებულად ვერ შევხვდებით, დროზე არ მოვკრეფთ ყურძენს, კარგად არ გადავამუშავებთ და სათანადოდ არ მოუვლით დუღილის პერიოდში, ცუდი ხარისხის და ხან სრულიად უვარგის პროდუქციას მივიღებთ.

ამრიგად მევენახეობის პროდუქტების (ღვინო ყურძნის წვენი) ხარისხი რთველის დროულად და მაღალ ხარისხით ჩატარებაზეა დამოკიდებული. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები კოლექტიური მეურნეობანი და ერთპიროვნული გლეხები ყველა უდიდესი პასუხისმგებლობით და ენერგიულად უნდა ემზადებოდნენ რთველისათვის. **მისი დროულად და ხარისხობრივად ჩატარება ჩვენს საბრძოლო ამოცანას შეადგენს.**

გასული წლის მაგალითები გვიმტკიცებენ რომ მთელ რიგ რაიონებში ამას არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას. ყურძენს კრეფდნენ ძალზე ადრე, ტექნიკურ სიმწიფემდე, როცა ყურძენში ჯერ კიდევ დაბალი იყო შაქრიანობა და ზედმეტი სიმჟავე (თელავის, გურჯაანის, ზესტაფონის და სხვ. რაიონ. მთელი რიგი სოფლები) ასეთი უდროვოდ მოკრეფილი ყურძნიდან შეუძლებელია მაღალი ხარისხის ღვინის მიღება.

არ აქცევდნენ ყურადღებას ღვინის დაყენების სავალდებულო აგროწესების დაცვას, **მარნისა და ჭურჭლის სისუფთავეს,** დუღილის წარმოებას შესაფერის ტემპერატურაზე. ამის შედეგად უმეტეს შემთხვევაში მეტად დაბალი ხარისხის პროდუქციას ღებულობდნენ. ამას სავსებით და ნათლად ამტკიცებს გასული წლის ღვინის დაჭაშნიკების (დეგუსტაციის) მასალები, რომელზედაც გამოირკვა, რომ ერთი და იმავე ჯიშის და სოფლის ღვინოები კულტურულად გადამუშავებისა და მოვლის მიხედვით — ერთი მაღალი ხარისხის მაჩვენებლებით იყო დაჯილდოვებული, მეორე კი ძალზე დაბალი და ხან სრულიად უვარგისი (სენაკის, ზუგდიდის, გურჯაანის და ჩხარის რაიონის ღვინოები).

წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 270.000 ცენტნერამდე ყურძენი და ღვინო. ამ პროდუქციის მიღება, მისი მაღალი ხარისხით გადამუშავება და მოვლა, უდიდესი საპასუხისმგებლო და რთული ამოცანაა, მაგრამ სავსებით დასაძლევი შესასრულებლად. საჭიროა მხოლოდ დამზადების პუნქტების და მათი წერტების ენერგიული დამკვრელური მუშაობა და ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

★

საქართველოს მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დამზადების პუნქტები და საბჭოთა მეურნეობანი ამ მხრივ უფრო ხელსაყრელ პირობებში არიან. მათი უმეტესობა საჭირო ჭურჭლით და მარნის მოწყობილობა - ინვენტარით უზრუნველყოფილი არიან, უზრუნველყოფილი არიან აგრეთვე ლაბორატორიებით და მარტივი იარაღებით ყურძნის შაქრიანობისა და სიმჟავიანობის (ხარისხის) გამოსარკვევად.

ცუდია მდგომარეობა რაიალმასკომების პუნქტებზე და საბჭოთა მეურნეობებში. ზოგან ამ პუნქტებს საჭირო ჭურჭლის ნახევარიც კი არ აქვთ მზად (ორბელის პუნქტი, ცაგერის რაიონში), ზოგან ეხლა აშენებენ და საეჭვოა, რომ მოასწრონ რთველამდე დამთავრება (ხვანჭკარა), ზოგან რაც აქვთ მოუვლელი, უსუფთაოა. ასეთია მდგომარეობა მევენახეობის მთელ რიგ კოლმეურნეობებშიაც.

დრო არ ითმენს, სადაც არის რთველი დაიწყება, ყურძენი უნდა მივიღოთ და გადავამუშაოთ.

რას უნდა მიექცეს ყურადღება რთველისთვის სამზადისში?

მარნის და ჭურჭლის მომზადებას რთველისათვის. ყურძნის კრეფამდე მარნის შენობა უნდა დასუფთავდეს. კედლები შეღებილი იქნეს დაუშლელი კირის წყლით, დაიშალოს და ზედმიწევნით დასუფთავდეს მარნის ყველა ინვენტარი და მოწყობილობა, საჭყლეტები სადაც მოიპოვება, წნეხები, საწნახლები, გამოირეცხოს სუფთა, ცივი და ცხელი სოდიანი წყლით ღვინის ჭურჭლები: კასრები, ქვევრები და სხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყურძენი და მაჭარი ისეთი ფაქიზი ნივთიერებანია, რომლებიც ადვილად ითვისებენ გარემოს სუნს და გადასცემენ ამას ღვინოს. ამიტომ მეტი სიფრთხილეა საჭირო, რომ უსუფთაო სუნიანი მარანით და ჭურჭლით არ გავაფუჭოთ ღვინო და არ დავსცეთ მისი ხარისხი.

ყურძენი უნდა დაიკრიფოს სრულ ტექნიკურ სიმწიფეში, როდესაც მარცვლის ზრდა შეწყვეტილია, ფერი თეთრ ჯიშებში ყვითლად არის შეცვლილი, ან მოშავოდ წითელ ჯიშებში, მარცვალი დარბილებულია, კანი ადვილად სცილდება ხორცს და თხელდება.

იქ, სადაც სიმწიფის განმსაზღვრავი იარაღები (არეომეტრები) არ მოიპოვება სიმწიფის განსაზღვრას უნდა ახდენდეს გამოცდილი მევენახე, იქ კი, სადაც ახლოსაა დამამზადებელი პუნქტი ან საბჭოთა მეურნეობანი, ყურძნის სიმწიფის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს მარტივი იარაღებით. საერთოდ საღვინე ჯიშებში შაქრიანობა უნდა უდრიდეს 18—22 პროც. და სიმჟავიანობა 0,6—0,8 პროც.

ყურძენი უნდა დაიკრიფოს მშრალ, გრილ ამინდში, არ ვარგა ყურძნის დაკრეფა წვიმების შემდეგ პირველ დღეებში ან ცვარის (ნამის) აღებამდე ან წვიმიან ამინდში, რადგან ასეთ დარებში მარცვალი ზედმეტად გაჟღენთილია წყლით და ნაკლებია წვენის შაქრიანობა, აქედან პროდუქციაც დაბალი ხარისხის იქნება.

ყურძნის დაკრეფა არ ვარგა აგრეთვე ცხელ დარებში — პაპანაქება სიცხეებში, შუადღისას, რადგან ცხელ დარებში ნაკრეფი ყურძენში დაჭყლეტის შემდეგ დუღილი მაღალი ტემპერატურაზე იწარმოებს, რაც ხელს შეუწყობს ძმრის ბაქტერიების გაძლიერებას და ღვინის დამმარებას, გაფუჭებას.

დაკრეფისას ყურძნიდან უნდა გამოირჩეს დამპალი—წამხდარი მარცვლები და მტევნები—გასუფთავდეს (გაირეცხოს) დასვრილი ყურძენი ტალახისაგან ან სხვა ჭუჭყისაგან. არ ჩაეყაროს საჭყლეტში ფოთოლი და ვაზის ყლორტები ან რქები.

დუღილი უნდა სწარმოებდეს ნორმალურ ტემპერატურაზე 22—25 გრადუსი, თუ ტემპერატურამ ამაზე ზევით აიწია—საჭიროა ტკბილი განიავდეს. დაუშვებელია დუღილი დაბალ ტემპერატურაზედაც 22 გრადუსს ქვევით, რადგან ამ პირობებში დუღილი მეტად ნელა იწარმოებს, ნაწილი შაქრისა გადაუმუშავებელი დარჩება ღვინოში — გაზაფხულზე ჰავის გათბობისას ასეთი ღვინო ხელახლად დაიწყებს დუღილს და უსათუოდ გაფუჭდება.

პირველი მძაფრი დუღილის დამთავრებისთანავე მაჭარი ფრთხილად უნდა მოვაშოროთ ჭაჭას და ლექს — გადავიღოთ სუფთა ჭურჭლებში. თეთრი ღვინოებისათვის მომზადებულ ჭურჭლებს უნდა უხრჩოლოთ გოგირდი, შავი ღვინის ჭურჭლებისათვის გოგირდის ხრჩოლება არაა საჭირო, რადგან ეს უარყოფით გავლენას მოახდენს ღვინის ფერზე.

პირველი გადაღებიდან ერთი თვის შემდეგ საჭიროა ღვინის მეორედ და ადრე გაზაფხულზე ღვინის მესამედ გადაღება. მეორედ და მესამედ გადაღებისას ღვინით ჭურჭელი უნდა კარგად გაივსოს და კარგად დაეხუროს სარქველი.

—:—

რთველი ახლოვდება, წინასწარი სამზადისის დროულად და მიზანშეწონილად ჩატარებით, მოსავლის კულტურულად, არსებული აგროწესების დაცვით გადამუშავებით და მოვლით უზრუნველვყოთ მოსავლის მთლიანად, უდანაკარგოდ აღება, მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება და სახელმწიფო დავალების ვადაზე შესრულება.

სურათზე: საბჭოთა კავშირის პავილიონი საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე კოპენჰაგენში (დანია).

ციტრუსოვან მხარეში

ზამთარ-ზაფხულ ხავერდოვანს
ამწვანებულ არეს.
სუბტროპიკულ-ციტრუსოვანს
სათუთ-ნაზ მცენარეს.

„საქართველოს ჩაის“ სივრცეს
თვალის წარმტაც ზვარებს
ჩვენს დიდ კავშირს დოვლათს
მისცემს

და მით გაახარებს...
შავი ზღვის ტალღები იცავს
მკაცრ სუსხს არ აკარებს,
აჭარ-კოლხეთ-აფხაზეთის.

მკერდ გადაშლილ ბარებს...
მძლე ოქტომბრის ცა აჯურავს
შრომის კოლექტივებს,
გამარჯვების ჩარხი ბრუნავს

აფრქვევს წითელ სხივებს...
ძმური ლხინი გაუმართავთ
კავკასიის ერებს,
ძლევის დროშა აუმართავს
მათ მჭუხარ მხნე სიმღერებს!..

სიო ხიდისთაველი.

პარტიულ თემაზე

თვითანგარიშის [illegible]

ხუმრობა საქმე როდია ცოცხალი ხელმძღვანელობა გაუწიო 1,200 კაცს. ბოლშევიკურად დარაზმო ისინი. 153 კომუნისტის მოხერხებული განაწილებაა საჭირო, რომ პარტიული გავლენით უზრუნველყო კომპლექტი, ჯგუფი, ცალკე ბრიგადა, სადაც ძირითადად წყდება საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლის საკითხი.

სასაცილო იყო წინეთ პარტიული ძალების „განაწილება“. პირველ ცვლაზე მუშაობდა 115 კომუნისტი, მეორეზე კი... 38.

ახალმა ხელმძღვანელობამ შეისწავლა დაზგები, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც მართავდენ ამ დაზგებს; წარმოების არცერთი უბანი არ დარჩენილა უკომუნისტოდ პარტიული კომიტეტი 40 პარტჯგუფისა და პარტორგანიზატორის საშუალებით ავრცელებს პარტიულ გავლენას მასებზე, კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევს ყოველდღიურ საქმიანობას.

★

საინტერესო სანახავია **საქსოვი** საამქრო: ერთი შეხედვით აქ ადამიანები არც კი ჩანან, ნამდვილად კი 400 კაცი ჯარასავით ტრიალებს. ამათში 30 კომუნისტია. პირველ კვარტალში საქსოვმა საამქრომ გეგმა შეასრულა... 28 პროცენტის წუნით.

ალექსი სვანიშვილი, ნიკოლოზ ჩიგვილაძე და შალიკო სვანიშვილი გაკვირვებული იყვნენ:

— დალახვროს გამჩენმა, — გულამოსკვნით იტყოდნენ ხოლმე ისინი, — 7 საათს კი არა უფრო მეტსაც ვმუშაობთ, დილას ადრე მოვდივართ და გვიან მივდივართ, გეგმას „ვასრულებთ“, მაგრამ... არა ძმაო, ეს არაფრად ვარგა, არ არიან კმაყოფილი ჩვენი წარმოების მუშაობით, წუნი დიდიაო ამბობენ!..

დიახ! წუნი მართლაც დიდი იყო. ფაბრიკის საერთო 51 პროცენტის წუნიდან 28 პროცენტი მარტო საქსოვ საამქროზე მოდიოდა.

მდგომარეობა საგანგაშო იყო.

და... ერთხელ, როცა მაუდის ფაბრიკის ბოლშევიკებთან გაერთიანებულ კრებაზე დაისვა წუნის მოსპობის და კომუნისტების როლის შესახებ, პირველად **მარო მჭედლიშვილმა** აიღო სიტყვა:

— არაფერიც არ გვაქვს სათქმელი! სირცხვილია ამხანაგებო, სირცხვილი! ვერ გამომითქვამს, როგორ მტანჯავს პარტიული სინდისი. ყველაფერი ცოცხალ ადამიანებზეა დამოკიდებული!..

ეს უკანასკნელი სიტყვა ხმადაბლა თქვა, დამაფიქრებლად...

კრება მალე დაიხურა. დამსწრეებს გულში ჩარჩათ უკანასკნელი სიტყვები: **„ყველაფერი ცოცხალ ადამიანებზეა დამოკიდებული“.**

—

„გეგმის შესრულება 118 პროცენტით, წუნი სრულიად არა“, — ეს ამხ. მარო მჭედლიშვილის — კომუნისტი ქალის მუშაობის მაჩვენებელია მეორე კვარტალში, პირველში კი მას 8 მანეთის წუნი ქონდა. გეგმის შესრულებას და წუნის მოსპობას არ დაჯერდა იგი, მან საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანა მეზობლად მომუშავე ამხანაგი და მიაღწია იმას, რომ ტუზილოვს, რომელიც პირველ კვარტალში 14 მან. წუნს უშვებდა, მეორე კვარტალში წუნი სულ არ ჰქონია და გეგმა კი 116 პროცენტით შესრულა.

კომკავშირელი ქალი **ქსენია ჟიდოვა** მაროს მოწაფეა, სწავლობს ქსოვის ტექნიკას, უფრო სწორად: ისწავლა ქსოვის ტექნიკა და აი პირველი შედეგი: მან გაიმარჯვა საამქრო კონკურსში საუკეთესო მქსოველზე და მიიღო უმაღლესი ჯილდო — 700 მანეთი. კონკურსიდან გამარჯვებული გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები: **მჭედლიშვილი, შაქარიანი, მურადოვი, სვანიშვილები, ტუზილოვი.** ისინი დააჯილდოვეს ორას-ორასი მანეთით.

ამხ. ჯვარიძე საამქროს პარტორგანიზატორია. ის იცნობს თვითეულ მუშას, კომუნისტს, კომკავშირელს, მათ ყოველდღიურ საქმიანობას.

მუშები ახლა აღარ გამოთქვამენ გაკვირვებას იმის გამო, რომ წინათ მეტს მუშაობდენ მაგრამ გეგმებს მაინც ვერ ასრულებდენ, და წუნიც ჰქონდათ. დღეს, როდესაც პარტორგანიზატორმა აუხსნა და განუმარტა, თუ როგორ უნდა გამოიყენონ 7 საათი — სრული 420 წუთი ცვლაში, როგორ უნდა მოუარონ მანქანას,, — გეგმებიც სრულდება და წუნიც მინიმუმამდე დავიდა.

პარტორგანიზატორი ყოველ დილაობით, მუშაობის დაწყებამდე ესაუბრება მუშებს იმის შესახებ, თუ მათ გუშინ ქსოვის პროცესში რა დეფექტი შეამჩნიეს.

ერთი ფაქტი: [illegible] 10 აგვისტოს საამქროს პარტორგანიზატორთან საუბარში ამხ. ჩიგვილაძემ განაცხადა, რომ მან წინადღით „მისაქსელის“ ცუდი მუშაობა შეამჩნია; საჭირო იყო მანქანის დაზიანებული ნაწილის შეკეთება.

საამქროს პარტორგანიზატორი როდი ჩაერია უშუალოდ სამეურნეო ორგანიზაციების ფუნქციებში და როდი გამოიჩინა „წვრილმანი“ მეურვეობა, როგორც ეს სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ ადგილას ხდება, არამედ მან მოიწვია პროფორგანიზაციის წარმომადგენლის და საამქროს უფროსის 10-წუთიანი თათბირი, სადაც გადაწყდა საკითხი: არა მარტო აღნიშნული მანქანა შეკეთდა, არამედ ასეთი ნაკლი სხვა მანქანაზედაც აღმოჩნდა და გამოსწორდა.

★

არ შეიძლება პარტიის წევრი იყო და მაგალითს არ აძლევდე უპარტიო მასებს, მისაბაძი არ იყო მათთვის. არ შეიძლება გაუძღვე მასებს, თუ ყოველდღიურ მუშაობით არ ამტკიცებ თავდადებას პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისათვის.

ამიტომ საჭიროა პარტიული ამხანაგის აღზრდა, პარტიის წევრის პარტიულ-მასობრივი მუშაობის ყურადღების ცენტრში მოქცევა.

ეს კარგად იციან მაუდის ფაბრიკაში და ამიტომაა, რომ იქ მთელი გულისყური მიპყრობილია პარტიის წევრისაკენ, მისი აღზრდისაკენ და ბოლშევიკურად გამობრძმედისაკენ.

აქ თვითეულ კომუნისტს მიცემული აქვს კონკრეტული დავალება. თვითეული მათგანი თვეში ორჯერ საერთო კრების წინაშე უნდა წარსდგეს **თვითანგარიშით.** ანგარიში უნდა ჩააბაროს დამკვრელებს იმის შესახებ, თუ მან, როგორც კომუნისტმა, როგორ გაამართლა პარტიის ნდობა, როგორ დააყენა პარტიის ინტერესები პირადზე უფრო მაღლა.

დიახ, **თვითანგარიშმა** გამოასწორა ამხ. კუზილოვი, რომელიც სამუშაო საათებში ლაზღანდარობდა, ზარმაცობდა და სხვებსაც აცდენდა, მას არც კი რცხვენოდა, როდესაც თავის გვარს და სახელს შავ დაფაზე დაინახავდა და იქვე გვერდით წაიკითხავდა: **„გეგმა შეასრულა 83 პროცენტით, წუნი გამოუშვა 14 მან.“**

დღეს კი იგი ილმება, ილმება იმიტომ, რომ იცის წარმატებით ჩააბარებს პარტიული და უპარტიო ამხანაგების გაერთიანებულ კრებაზე თვითანგარიშს სამი უპარტიო მუშისათვის ქსოვის ტექნიკის შესწავლაზე, თავისი პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, დაზგის უკეთესად მოვლაზე და საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

თვითანგარიშმა გამოასწორა და მოწინავეთა რიგებში ჩააყენა ამხ. **ხატიევი, ტლაშეცკი** და სხვა მრავალი.

მაგრამ ჰოი სირცხვილო! არ გაუვიდა თინი ამხ. **შერემჩოვს,** მასაც, როგორც კომუნისტს — ჰქონდა ვალდებულებანი აღებული და თვითანგარიში უნდა ჩაებარებია საერთო კრებისათვის.

შერემჩოვმა დიდი რიხით განაცხადა კრებაზე, რომ უკვე „ლიკვიდირებულია“ მისი პოლიტიკური უცოდინარობა, მაგრამ როდესაც კრებაზე დამსწრეებმა მისცეს მას შეკითხვა საბჭოთა კავშირის უზენაესი ორგანოს შესახებ, მან პასუხს დუმილი ამჯობინა, გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა...

თუ რა ნაყოფს გამოიღებს ეს „ფიქრი“, ამას ვნახავთ მომავალ კრებაზე ანგარიშის ჩაბარების დროს.

ბრძოლამ პარტიულ - მასობრივი მუშაობის უმაღლეს საფეხურზე აყვანისათვის უნდა გამოიღოს სასურველი ნაყოფი და გამოიღო კიდეც: **თუ პირველ კვარტალში წუნი 51 პროცენტს უდრიდა, მეორე კვარტალში იგი 10 პროცენტამდე დავიდა.**

პარტმასობრივი მუშაობის ბოლომდე გარდაქმნა და მისი უმაღლეს საფეხურზე აყვანა წუნის სრულიად მოსპობის და საწარმოო გეგმების შესრულების უტყუარი პირობაა; ეს უნდა შესძლონ მაუდის ფაბრიკელებმა.

ფაბრიკა მტკიცედ დგას ამ გზაზე. მაუდის ფაბრიკამ პირველი სექტემბრიდან პირველად დაიწყო გერმანული კოვერკოტის „მერინოსის“ და საპალტოე „დრაპის“ გამოშვება, რომელიც უცხოეთის ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება

როდესაც საკუთარი ხელით სინჯავ და თვალით ნახულობ ამ საბჭოთა „მერინოსს“, გაგონდება ლოზუნგი, ქარხნის შესავალ კარებთან დიდი ასოებით რომ არის დაწერილი: **„დავეწიოთ და გავუსწროთ“.**

ვ. მ-ლ

გ. ყალიჩავა

იდეა, რომელიც იქცა უდიდეს მატერიალურ ძალად...

75 წელი კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოცემიდან 1859—1934

ბერლინის ერთერთ ქუჩაზე, 1859 წლის ზაფხულში ვ. დუნკერის გამომცემლობის დამტვერიანებულ ვიტრინას ამშვენებდა პატარა ლამაზი წიგნაკი წარწერით:

«Zur Kritik der politischen Oekonomie».

სამოცდახუთმეტმა წელმა განვლო ამ გენიალური ქმნილების პირველ გამოცემიდან. მრავალი სახელმძღვანელო დამტვერიანდა და დაძველდა ამ ხნის განმავლობაში. ისტორიამ ულმობელი განაჩენი გამოუტანა მთელ რიგ შრომებს, იდეებს, მიმართულებებს. მან არქივს გადასცა ისინი. მარქსის გენიალური ქმნილება: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ისე გამოიყურება, თითქოს გუშინ გამოსულიყოს დუნკერის სტამბიდან. რა არის ამის მიზეზი! სად არის საიდუმლოება?

კაცობრიობის ისტორიის განვითარების გზაზე, ვხვდებით ადამიანებს, რევოლუციის ბელადებს, რომლებიც სიცოცხლობენ ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. ისინი სიცოცხლობენ, რადგან მათი იდეა, თავდადებული ბრძოლა მომავლისათვის იტაცებს და აღანთებს მასებს.

მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი—უდიდეს ფიგურებად მოსჩანან კაცობრიობის ისტორიის ჰორიზონტზე. მიუხედავად ბურჟუაზიის გამხეცებისა, მსოფლიო ფაშიზმის შეტევისა მუშათა კლასის წინააღმდეგ, მათი იდეა — სულ უფრო და უფრო იჭრება მშრომელ მასებში, მათი იდეა გადაიქცა უდიდეს მატერიალურ ძალად.

პროლეტარული მოძრაობა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს თავის ბელადებს: მეცნიერულ სიძლიერეს თეორიაში, გამბედაობას და მტკიცე ნებისყოფას პრაქტიკულ გადამწყვეტ ბრძოლებში — რევოლუციურ ბრძოლებში. პროლეტარული მოძრაობა მოითხოვს, რომ „ბელადებმა შეათავსონ თავის-თავში თეორიული სიძლიერე პროლეტარული მოძრაობის პრაქტიკულ ორგანიზაციულ გამოცდილებასთან“ (სტალინი). სწორედ ამაშია პროლეტარული მოძრაობის ბელადების ძალა, მათი სიდიადე.

სამოცდახუთმეტი წელი განვლო „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ — პირველ გამოცემიდან, მარქსიზმის ტრიუმფალური სვლის, მისი ბრწყინვალე გამარჯვების წლებით.

საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობამ ამ სამოცდახუთმეტი წლის განმავლობაში ნათელყო, თუ რაოდენად ღრმა და უტყუარი აღმოჩნდა მარქსის მოძღვრება. მის მიერ შემუშავებული ისტორიის მატერიალისტური გაგება.

სამოცდახუთმეტი წლის თავზე მსოფლიო გვაძლევს მარქსიზმის დიდი ისტორიული გამარჯვების სურათს. ის, რაც იწინასწარმეტყველა მარქსმა თავის უკვდავ ნაწარმოებში, ჭეშმარიტად ასრულდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში პროლეტარიატის დიქტატურა ძლევამოსილად ანხორციელებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას. კ. მარქსი ჩვენ გვევლინება არა მარტო აზროვნების ტიტანის, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გენიალური თეორეტიკოსის სახით, არამედ რევოლუციური ბრძოლის რევოლუციური მოძრაობის უდიდესი ორგანიზატორად.

პოლიტიკური ეკონომიის ღრმა შესწავლის შედეგად მარქსი, ორმოციან წლებში იგი თავის განუყრელ მეგობართან ფრ. ენგელსთან ერთად მკვეთრად აყალიბებს მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს. მარქსი თავის მეგობართან ერთად მტკიცეთ რწმუნდება, რომ მხოლოდ მუშათა კლასია ერთადერთი ძალა, ძლევამოსილი რევოლუციური ძალა, მარქსი და ენგელსი მოუღლელ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროლეტარულ მოძრაობაში. მარქსი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოვლენებს.

1848 წლის პერიოდში გამოდის მარქსის და ენგელსის გენიალური ქმნილება — რევოლუციის ალგებრა — **„კომუნისტური მანიფესტი“.**

თავის მეგობარს — ვეიდემარს მარქსი სწერდა: „მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენს პარტიას მოვანიჭებ მეცნიერულ გამარჯვებას“. მარქსის ეს იმედოვნება ბრწყინვალედ ასრულდა. „**პოლ. ეკონომიის კრიტიკისათვის**“ იყო და არის საიმედო იარაღი მსოფლიო კომუნიზმის თეორეტიულ ბრძოლისათვის.

აქ შესავალში მოცემულია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობა. კვლევის მეთოდი და მისი გამოყენება საზოგადოებათმეცნიერების ერთ დარგში — პოლიტიკურ ეკონომიაში. ის საერთო შედეგი მრავალი წლის ეკონომიური კვლევისა, რომელიც მარქსმა მიაღწია, და რომელიც სახელმძღვანელო ძაფი გახდა მის მეცნიერულ მუშაობაში. „შეიძლება მოკლედ შემდეგ ფორმულაში გამოიხატოს, — სწერს თვით მარქსი: თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან, დამოუკიდებელ ურთიერთობაში, წარმოებით ურთიერთობაში, რომელიც მათ მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება. და რომელსაც ცნობიერების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოთ. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. საზოგადოების საწარმოო ძალები მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ საწარმოო ურთიერთობასთან ანუ, რაც მის იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს, საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე მოქმედებდნენ. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმებიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც ნელა თუ სწრაფად გადატრიალდება“. („პოლ. ეკონ. კრიტ.“ — გვ. 40—41. ქარ. გამოცემა).

ამრიგად, მარქსი — საზოგადოებრივ - ცხოვრების ეკონომიური ანალიზისას მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარებიდან გამოდის და აკეთებს რევოლუციურ დასკვნებს.

საზოგადოებრივი ანატომიის შესწავლა მარქსმა პოლიტიკური ეკონომიით დაიწყო და მან კვლევადობის ეს დარგი მეცნიერულ სიმაღლემდე აიყვანა. ეს დიადი შედეგია. 15 წლის მეცნიერული კვლევისა, თავდადებული მუშაობისა.

მარქსი იყო ის ადამიანი, რომელმაც აღმოაჩინა წარმოების კაპიტალისტური წესის იმანენტური კანონი, მისი შინაგანი წინააღმდეგობა, ანტაგონიზმი საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის. კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის აუცილებლობა.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა გაამძაფრა და გააღრმავა კლასობრივი წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. „ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი“, საზოგადოებრივი საწარმოო ძალთა მოძრაობის უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმაა, რადგან, „ის საწარმოო ძალები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდება, ჰქმნის აგრეთვე მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაჭრელად. ამიტომ ამ საზოგადოებრივი ფორმაცით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინა—ისტორია“. (მარქსი, „პოლ. ეკონ. კრიტ.“, გვ. 42, ქარ. გამ. 1932 წ.). ენგელსი მარქსის ამ წიგნის შესახებ სწერდა: „ჩვენი მატერიალისტური თეზის შემდგომი განვითარებისას და თანადროულობისთვის მისი გამოყენებისას ჩვენ თვალწინ გვეშლება, ამგვარად, ყველა დროის დიდი, უდიადესი რევოლუციის პერსპექტივა“. ასრულდა მარქსისა და ენგელსის სიტყვები: „ყველა დროის დიდი, უდიადესი რევოლუცია“ გადაიქცა ჩვენი ეპოქის მამოძრავებელ ძალად.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს იმ მიუდგომელ ციხე - სიმაგრეს, სადაც რევოლუციონური თანმიმდევრობით ხორცს ისხამს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა მოძღვრება. მსოფლიოს ყოველ მშრომელს სრული შესაძლებლობა აქვს შეადაროს ერთმანეთს ერთიმეორისადმი დაპირისპირებული წარმოების ორი წესი: კაპიტალისტური და სოციალისტური.

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ათეული წლით უსწრებს „კაპიტალს“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი წარმოადგენს მის აუცილებელ დამატებას, რადგან, როგორც მარქსი აღნიშნავს „რაც უწინ („ცურ კრიტიკში“) განვითარებული იყო, ის აქ (ე. ი. „კაპიტალში“) მხოლოდ გაკვრით არის აღნიშნული“. გარდა ამისა „ცურ კრიტიკს“ ღრმა შინაარსით აღსავსე ადგილები, როგორიცაა: „ღირებულებისა და ფულის თეორიის ისტორიის შესახებ“... „სრულიად გამოტოვებულია „კაპიტალში“. „ორივე ეს ერთი მეორის შემვსები ნაწარმოები მთელ რევოლუციას ახდენს პოლიტიკურ ეკონომიაში და წარმოადგენს მარქსიზმის ფასდაუდებელ საგანძურს“.

კაპიტალიზმის აუცილებელი დამხობა, მეცნიერულად დასაბუთება და დამტკიცება მისი აუცილებელი განადგურებისა, კაპიტალიზმის კომუნიზმით შეცვლის ისტორიული აუცილებლობა, — აი, ის ძირითადი იდეა, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მარქსის ეკონომიურ შრომებს.

ვინ ახდენს რევოლუციონურ გარდაქმნას, კაპიტალიზმის დამხობას? **პროლეტარიატი,** თვით კაპიტალიზმის მიერ გაწვრთნილი არმია — მუშათა კლასი. კაპიტალიზმი უნდა დაემხოს, თავისი შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე. მთავარი საწარმოო ძალა — რევოლუციური მუშათა კლასი უნდა ამხედრდეს კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობის წინააღმდეგ და ბოლო მოუღოს წარმოების კაპიტალისტურ წესს, შრომის ექსპლოატაციას.

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წარმოადგენს უდიდეს ინტერესს განსაკუთრებით ჩვენს დროში, კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში.

ეს გენიალური ქმნილება ორი ძირითადი თავისაგან შესდგება „ღირებულების თეორიისა და ფულის თეორიის ისტორიის შესახებ“. მარქსი ნათელყოფს, რომ საქონელში ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ უჯრედში, — ჩანასახოვან ფორმაში მოცემულია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი. საქონელი თავის წიაღში ატარებს წარმოების კაპიტალისტური წესის ანტაგონისტურ ხასიათს, შრომის და კაპიტალის ანტაგონიზმს. ღირებულების საყოველთაო ფულადი ფორმის გაბატონებით (რომელიც მეორე თავშია განხილული), ეს შინაგანი წინააღმდეგობა უაღრესად განვითარებულ ფორმაში გვევლინება. ფულადი ფორმაში იგი უფრო აშკარავდება.

შესავალში მოცემულია მარქსიზმის ძირითადი მსოფლმხედველობა. მეთოდი და მისი გამოყენება საზოგადოებათმეცნიერების ერთ დარგში — პოლიტიკურ ეკონომიაში. ამრიგად, მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის კანონი. ისე „როგორც დარვინმა აღმოაჩინა, ორგანიული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე აღმოაჩინა მარქსმა კაცობრიობის ისტორიის კანონი“. (ენგელსი).

მარქსი იყო უდიდესი რევოლუციონერი თეორიაში და პრაქტიკაში. მისთვის თეორია იყო ქვეყნიერების გარდაქმნის საშუალება. მარქსი 1848 წ. სწერდა: „პრაქტიკოს მატერიალისტისათვის ე. ი. კომუნისტისათვის — საქმე ეხება მას, რომ შეცვალოს და გაარევოლუციონეროს არსებული ქვეყანა; რომ პრაქტიკულად წავემართოთ საგნების წინააღმდეგ, როგორადაც ჩვენ მას ვპოულობთ, და შევცვალოთ იგი“.

მეცნიერება მარქსისათვის იყო არა მეცნიერებისათვის, არამედ ისტორიულად მამოძრავებელი რევოლუციური ძალა; მეცნიერება მარქსისათვის იყო არა დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო.

როდესაც გამოქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ — ბურჟუაზია შეეცადა სიჩუმით მოეკლა მარქსის გენიალური ნაწარმოები. მაგრამ ბურჟუაზია მოსტყუვდა: მარქსის მოძღვრებამ მოედო მთელი ქვეყნის მუშათა კლასს და იქცა უდიდეს მატერიალურ ძალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შესრულდა
კონკურსში აღებული ვალდებულება

(აბაშა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ღირსეულად მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის, ბრძოლა სკოლის ძირითადი ნაკლის აღმოფხვრისათვის, — აი ამოცანა, რომლის შესრულებას შეუდგა აბაშის რაიონი. ამოცანა დიდია, სამუშაო ბევრი. კეთილის მსურველი მრავალი და ამიტომ უდიდესი სიფრთხილით დაიწყეს მუშაობა დასახული მიზნის მისაღწევად.

აბაშის განათლების განყოფილების გამგე ბ. კიზირია

* * *

ზუსტად აღინუსხა თუ რომელ სკოლას რა აკლდა, როდის და როგორ გაკეთებულიყო. ჩამოყალიბდა სასკოლო კომისიები, სასოფლო და სარაიონო შტაბები, ყველას მიეცა კონკრეტული დავალება.

გეგმა მშვენიერია!..

მაგრამ... რომ ჩალეწილი მინები გამთელდეს, დამტვრეული ინვენტარი განახლდეს, სკოლის ჭერიდან წვიმა არ ჟონავდეს და სოფელს ექნეს სახელოსნოთი და კაბინეტებით კეთილმოწყობილი სკოლა, —ამისათვის არ იკმარა ზემდგომ ორგანოებიდან გაღებულმა თანხამ, საჭირო შეიქნა მშრომელთა უშუალო მონაწილეობა და დახმარება. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. გლეხი ხალისით და იმედით ელოდება მოსავლის აღებას; ერთი მხრით ამითაც აიხსნება ის კულუხვი, უფასო დახმარება, რომელიც აბაშის მშრომელებმა გაუწია სკოლას. მოსახლეობამ სასკოლო საჭიროებისათვის გაიღო 1757 შრომადღე, შეშისა და საშენი მასალის გადაზიდვა-გადმოზიდვაზე 1090 ურემი და 25½ კუბომეტრი საშენი მასალა; ნებაყოფლობით შეგროვილი იქნა 71.862 მანეთი, ფასიანი სალამოებიდან და შაბათობებიდან შემოსული თანხა 85.118 მან. უდრის.

რა გაკეთდა?!

აშენებულია 28 ახალი საკლასო ოთახი, შეკეთებულია—97. შეძენილია სახელოსნო (2 სადურგლო, 1 საზეინკლო), 10 კაბინეტი (ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის) და ქიმიის ლაბორატორია. მათი ღირებულება 50 ათას მანეთს უდრის შეძენილია 11 ახალი სასკოლო ბიბლიოთეკა თვითეული 600 მანეთის ღირებულების.

საგრძნობი დახმარება გაუწია სკოლებს სამილაოს ხე-ტყის ქარხანამ (დირექტორი სალდაძე). ქარხანამ შეწყვიტა სხვა შეკვეთების მიღება და შეუდგა სკოლებისათვის ინვენტარის დამზადებას; გაიღო სკოლებისათვის საშენი ხის მასალაც.

მივდივართ და ჩვენ წინ არის მწვანით მოსილი მიდამო გულდასხმით კარგად მოვლილი გზებით, ირგვლივ სუფთა ეზოებით ლამაზად ნაგები სახლებით და ტაროებით დატვირთული ყანები. ამ სოფელს ძველ აბაშას უწოდებენ. მისი არა სრული საშუალო სკოლის დიდტანიანი შენობა ჩაპრიალებული განიერი ფანჯრებით ამაყად დგას ფართო ეზოში, რომელსაც აშვენებს მზრუნველი ხელით მოვლილი სკოლის საცდელი ნაკვეთი.

ჩამორჩენილი დაწინაურდა

დაბა აბაშიდან 5 კილომეტრის მანძილზე — სუჯუნის არა სრული საშუალო სკოლაა. იგი ივნისის ბოლო რიცხვებში სამარცხვინოდ ჩამორჩენილი სკოლის „საუკეთესო" ნიმუში იყო ამიტომ სკოლის გამგე ხ. საყვარელიძე სარაიონო კონფერენციაზე (ივნისში) ღირსეულად შეამკეს. საყვარელიძე კი კონფერენციაზე შირის ოფლში იყო გაწუწული, დარცხვენილი, თავდახრილი. მაგრამ—რომ იტყვიან: გასაჭირი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო —მართლად ამ „ტკბილი" საუბრის შემდეგ, საყვარელიძე დაფაცურდა. მისი მონაწილეობით სუჯუნის თემში სკოლის საჭიროებისათვის ნებაყოფლობით შეგროვდა 24.939 მანეთი. ამ თანხიდან 17 ათასი მანეთი სკოლისათვის შეიძინეს 5 ოთახიანი სახლი, დანარჩენი თანხა მოხმარდა სკოლის რემონტს. დღეს სუჯუნის სკოლაში რემონტი დამთავრებულია. არც ერთი მინა არ აკლია, შეშაც მზადა აქვს. დღეს სუჯუნის სკოლა დაწინაურებულია და რაიონის მიერ დასაჯილდოვებელ სკოლათა სიაშია შეტანილი.

მოწინავე სკოლების რიცხვშია მარნის თემის სრული საშუალო სკოლა (დირექტორი გ. დანელია). თუ მარნის თემის მუშაობის და წინსვლის მთლიანი სურათი გინდათ ნახოთ, უნდა ესტუმროთ თემსაბჭოს (თავმჯდომარე ქ. ლიპარტია). აქ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს კედლებზე გამოფენილი დიაგრამები, სქემები, გეგმები, სურათები. ისინი გიჩვენებენ თემის გეგმიან მუშაობას, ზრდასა და განვითარებას. აქ არის კუთხეები: კულტურული, ნათესების, მეცხოველეობის, კოოპერაციის და სხვ., სადაც ნაჩვენებია სოფლის წინსვლა ამა თუ იმ დარგში.

ცხენისწყლის გამოღმა ნაპირას ხე-ტყის ქარხანა გუგუნებს. გაღმა კი მოსჩანს გაშლილი ველი ტყით დაბურული და შორს სივრცეში მუდმივი თოვლით დაფარული სვანეთის მთის მწვერვალები.

კადრებით უზრუნველყოფა და ხელფასი

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აბაშის განათლების განყოფილებას ყურადღება მიუქცევია. ივნისში 30 მასწავლებელი (4 წლედის) გატარდა გადასამზადებელ კურსებზე. თელავის კურსებზე გაიგზავნა 4 ისტორიის და 3 გეოგრაფიის მასწავლებელი. საბავშო ბაღების 7 ხელმძღვანელი მივლინებულ იქნა ქუთაისის კურსებზე.

აბაშის რაიონს ესაჭიროებოდა დაწყებითი სკოლებისა და საბავშო ბაღებისათვის 15 მასწავლებელი, საშუალო სკოლებისათვის 23 მასწავლებელი. განათლების კომისარიატმა 20 ტექნიკუმ დამთავრებული და მაღალი განათლების მხოლოდ 1 მასწავლებელი გამოგზავნა. რაიონის მასწავლებლობა დაუგვიანებლივ, თავის დროზე ღებულობს ხელფასს და კუთვნილ მომარაგებას, რაც მათ აძლევს ენერგიული მუშაობის სტიმულს.

8 სექტემბერს მოწვეულ რაიონულ კონფერენციაზე ჯამი გაუკეთეს ჩატარებულ მუშაობას; განხილულია ყველა კლასის პროგრამები, მიღებულია და განაწილებულია 33 სახელწოდების სახელმძღვანელო.

აღრიცხულია სკოლებიდან გასული 185 ბავშვი, ფაბრიკასა და ქარხნებში სამუშაოდ გაფანტული. „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ მათ უკლებლივ მოვიყვანთ სკოლებში. მოსახლეობის გულთბილი დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან საპატიოდ მოვეპყრათ მათ ნაამაგარს. მტკიცე დისციპლინის შექმნით ჩვენ ამას შევძლებთ" — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი მოხსენება განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. კიზირიამ.

— ბესარიონ კიზირია მოუსვენარი კაცია. არც თითონ დაისვენებს, არ სხვას დაასვენებს, სანამ დაწყებულ საქმეს არ დაამთავრებს. ის გამოცდილი პედაგოგია. მეხუთე წელია, რაც აბაშის რაიონში ხელმძღვანელობს განათლების ფრონტს. მისთვის სულერთია — დარია თუ ავდარი. ეტლს ვერ იშოვის?! ფეხით გაივლის რამოდენიმე კილომეტრს და მასპინძელზე ადრე ეწვევა მიზანში ამოღებულ შორეულ სკოლას. საუკეთესო ორგანიზატორია. ურჩს, მუშაობაზე გულაცრუებულს, თავისებურ მალამოს წასცხებს, აამოქმედებს, საქმეს გააკეთებინებს. ასეთია რაიონის მასწავლებლობის აზრი ამ დაუღალავ მუშაკზე. მისი ენერგიული ხელმძღვანელობით გეგმით გათვალისწინებული ყოველგვარი სამუშაო დროზე შესრულებულია; რაიონის 58 სკოლა ღირსეულად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის და მომავლისათვის ახალ დავალებებს ღებულობს, 10 სექტემბერს აბაშას ესტუმრნენ სოფლებიდან სკოლების წარმომადგენლები და კუთვნილი სახელმძღვანელოები წაიღეს ურმებით, ეტლებით. ადარებთ ყოველივე ამას წარსულ წლებს, როდესაც ჩვენს სკოლებში სახელმძღვანელოები თითზე ჩამოსათვლელი იყო, თანაც ძვირი და მარტის დღესავით მალიმალ ცვალებადი.

და დღეს წიგნებით დატვირთული ურმები უდიდეს სიხარულს აგრძნობინებს ახალთაობას.

ისინი საუკეთესო დოკუმენტია ჩვენი სკოლის წინსვლის და გამარჯვების.

მერი ადამია.

მოწინავე სკოლა

მე-32 სკოლა (ლენრაიონი) წარმოადგენდა ტალახით შელესილ, კედლებზე აქაიქ აგურ-ამოყრილ, დამახინჯებულ შენობას. ვიწრო ფანჯრები, შემოუკავებელი ეზო და სხვ. რამდენიმე ოთახი სრულიად უვარგისი იყო. ერთი სიტყვით ეს სკოლა ძალზე უმწეო მდგომარეობაში იყო, მაყურებლებზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

დღეს პარტიისა და ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე ახალ სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით მთლიანად გარდაიქმნა მე-32 სკოლა.

გეგმით გათვალისწინებული იყო სასკოლო შენობისა, ოთახებისა და სახურავის შეკეთება. სასკოლო ეზო შემოკავებულია კარგი ხარისხის მესრით. საპირფარეშო შესაფერ ადგილას გადაიტანეს. ოთხი ოთახი გაფართოვდა. საკლასო ოთახები პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. ახლა ქუჩისაკენ გასასვლელი კარები გაუქმებულია. ამჟამად სკოლას შესასვლელი კარები ეზოდან აქვს.

ფანჯრების გაფართოებით ოთახებში მეტი სინათლეა. ორი საკლასო ოთახი, რომელიც სრულიად გამოუსადეგარი იყო, ამჟამად შეკეთებულია. მიშენებულია ერთი ოთახი პიონერ - ორგანიზაციისთვის. გარდა ამისა აშენდა კიდევ ერთი ოთახი 12 კვ. მეტრის ფართობით. სკოლის ქვედა სართულში მოწყობილია კლუბი. ეს სართული წინათ მთლად მოუწყობელი იყო, ახლა კი საუცხოოდ არის გამართული. საკლასო ოთახების გასანათებლად 16 ადგილას გამოიჭრა ფანჯრები და კარები. ოთახებს შუა გაკეთდა 11 კაპიტალური ტიხრი.

საკლასო ოთახები გასასვლელი იყო, რაც ნორმალურ მეცადინეობას ძალიან უშლიდა ხელს. ამჟამად ეს ნაკლი აღმოფხვრილია, მეორე სართულზე კიბე სრულიად შეუფერებელ ადგილიდან უფრო მარჯვე ადგილზე გადაიტანეს. კარ-ფანჯარა შეღებილია საუკეთესო საღებავით. ამჟამად სკოლის შენობა სრულიად ახალი შენობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო და სახელმძღვანელო ნივთებითა და ინვენტარით.

გამწვანების მხრივ სკოლა ტფილისის სკოლებში ერთი პირველთაგანია. სკოლის ეზოში გაშენებულია ბაღნარი. ეზოს ამშვენებს დაბალი, შეღებილი მესრებით შემოვლებული ყვავილნარი. კანალიზაცია საერთოდ ამ უბანს არა აქვს. მაგრამ სკოლამ ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა და მოაწყო კანალიზაცია. წესრიგში მოიყვანა საპირფარეშოები და სხვ. სკოლას აქვს საუკეთესოდ მოწყობილი ექიმის კაბინეტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინისგზის ვაგონების შემკეთებელ ქარხნის დახმარება ამ სკოლისადმი, როგორც ხე-ტყის მასალით, ისე ფულად.

მე-32 სკოლის შენობა, ზევით დამხმარე საბჭოს საპატიო წევრი ამხ. ფირცხალავა

* * *

შეძენილია ხელსაწყო ქიმიური და ფიზიკურ კაბინეტებისათვის.

პოლიტექნიზაციის ხელის შემწყობი მიზნით ვაგონების შემკეთებელმა ქარხანამ სკოლას დამატებით მისცა 60 კილოგრამი ფოლადი და რკინა, რაც საზეინკლო სახელოსნოს უზრუნველყოფს ერთი წლით.

დამხმარე საბჭოს წევრების ჯომარჯიძის (ვაგონების შემკ. ქარხნის მუშა) და ძველ რევოლუციონერ ბოლშევიკის ამხ. ა. ფირცხალავას ინიციატივით მოწყობილია 5 შაბათობა. ამხ. ჯომარჯიძემ 15 დღის შვებულება აიღო და ამ ხნის განმავლობაში იხმარებოდა სკოლას ფიზიკური მუშაობით.

ამხ. ა. ფირცხალავამ, ი. ბახტაძემ უფასოდ ჩასვეს ფანჯრები და ამნაირად სკოლას დაუზოგეს 900 მანეთი.

აღსანიშნავია განათლების განყოფილების ახალი ხელმძღვანელობის ენერგიული მუშაობა და ყურადღება სკოლისადმი. სკოლის დირექტორი ამხ. ევგენი ხუროძე მზრუნველობით დასტრიალებს სკოლას და მთელ ენერგიით ცდილობს სკოლას მოუპოვოს პირველობა არამც თუ ტფილისში, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით — ახალ სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ამხ. ევგ. ხუროძეს, როგორც საუკეთესო მუშაკს, მიღებული აქვს სამი ჯილდო, მადლობა და სიგელები.

ვ. დადიანი

საქონელბრუნვა
„აწე ყორფელს ამ მაღაზიაში ვიყიდი"

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

— დასტურ კოპწია პატარძალივითა გულმშვენებიანი ახალი მაღაზია, — კმაყოფილებით უთხრა თავის მეზობელ კოლმეურნეებს სურეია გოგიტიძემ, როცა იგი თავის პატარა ძმა რეჯებთან ერთად ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრიდან დაბრუნდა შინ სოფ. ურეხში.

— ვეღა ყველაფერი აქვან, მერე ისეთი ზრდილობიანი „პრიკაშიკები" მე არ მინახავს.

— აწე ყოლიფერს იქინე ვიყიდი.

მართლაც სასიამოვნო სანახავია ბათუმის სარაიონო მაღაზია. კოოპერაციის ქუჩაზე შორიდანვე იქცევს თქვენს ყურადღებას კოხტად მორთულ ვიტრინები, რაც გინდათ, არ იყოს აქ გამოფენილი.

აგერ, ერთ ვიტრინაში მშვენიერი სასადილო ოთახი მოუწყვიათ: გაშლილია სასადილო მაგიდა თეთრი სუფრით, ზედ 6 კაცისთვის არის დალაგებული თეფშები და დანა-ჩანგალი. შუა მაგიდაზე ქილა ყვავილებით, მოწნული თეფშ-კალათა პურისათვის, სამარილე. მაგიდის გარშემო—ექვსი ლამაზი ვენური სკამი, მარჯვნივ კუთხეში —ბუფეტი, მარცხნივ—ხალიჩებით და მუთაქებით მორთული ტახტი, გგონიათ ეს-ეს არის სტუმრები შემოვლენ და სადილად დასხდებიანო.

მეორე ვიტრინაში—სუფთა, დაუთოებული ტანსაცმელი — პალტოები, კოსტუმები, ბლუზა-შარვალი, ქალის და კაცის ფეხსაცმელი, კალოშები, ჩულქები, წინდები, ცხვირსახოცები, ჯემპრები, ხელის საპონი, საფულეები, ქოლგები, რედიკულები და რა არ გინდათ.

მესამე ვიტრინაში — უნაგირი, ნაჯახი, ბარი, ცული, თოკი, ვედრო, ქვის კეცი, საცერი, ბოქლომები, საკეტები, ჭურჭელი, ემალის ქვაბები.

ახლა შიგნით? ყაფაზები სავსეა სუფთად და კოხტად დალაგებული საქონლით, კედლებსა და სვეტებს სარკეები ალამაზებს. ყველგან სისუფთავეა, წესრიგი.

აგერ შემოვიდა ორი კოლმეურნე ქალი. მათ საკოლმეურნეო ბაზარზე ჰქონდათ მოტანილი ყურძენი, ლეღვი, ქათმები, კვერცხები, ახლა აქ მოსულან, რომ ივაჭრონ. პირდაპირ მზა ტანსაცმელის განყოფილებას მიაშურეს. მათ ხალისიანად შეუგება გამყიდველი დვორეცკი, თავაზიანად გამოელაპარაკა.

— აი უფრო მომწონს,—ამბობს ახალგაზრდა ქალი, — ფერიც კარგი აქვს, მაგრამ ვაი თუ ტანზე არ მომადგეს.

— გაისინჯეთ, — უპასუხებს გამყიდველი და მიუთითებს სარკით მორთულ პატარა მოსარგებ ოთახზე. ქალებმა პალტო წაიღეს და ცოტა ხნის შემდეგ გამოეხმაურენ დვორეცკის.

ბათუმის რაიმაღაზიის დირექტორი ამხ. ჯოჯუა

* * *

— ყველაფერი კარგია, მაგრამ სახელოები ცოტა გრძელი და ღილებსაც გადაწევა უნდა

— ახლავე, — უპასუხებს გამყიდველი და მეორე ოთახიდან მოჰყავს ოსტატი მკერავი. მკერავმა დაადასტურა, რომ სახელოები უნდა დამოკლდეს და ღილებიც უნდა გადაინაცვლოს.

— ერთი საათის შემდეგ მზად იქნება,— ამბობს ოსტატი . ქალები კმაყოფილი არიან. ერთი საათის შემდეგ მათ გამზადებული პალტო ჩაიბარეს.

ასევე ეპყრობიან მყიდველებს დანარჩენი გამყიდველებიც, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ივ. ჩხეიძე (ავეჯის განყოფილება). არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩხეიძეს ან დვორეცკის უკმაყოფილო გაეშვათ მყიდველები.

თუ მაღაზიაში ყიდველისათვის საჭირო საქონელი არ არის, შეკვეთას ღებულობენ. ივლისში მაღაზიამ მიიღო და დააკმაყოფილა 91 შეკვეთა. აგვისტოში მიიღო —52 შეკვეთა და 48 დააკმაყოფილა. 29 აგვისტოს სოფ. ახაშენის მცხოვრებმა ზ. საგინაძემ მაღაზიას შეუკვეთა უნაგირი. 7 სექტემბერს მაღაზიამ ეს შეკვეთა დააკმაყოფილა. ზ. საგინაძეს 175 მანეთად ჩაბარა მშვენიერი უნაგირი.

მყიდველებისადმი ასეთი ყურადღების შედეგია ის გარემოება, რომ მაღაზიამ ივლისში 100 ათ. მან. ნაცვლად 259 ათ. მანეთის საქონელი გაყიდა, ხოლო აგვისტოში 100 ათასი მანეთის ნაცვლად —286 ათასი მანეთის საქონელი. მაღაზიის მუშაკები დირექტორ ამხ. ჯოჯუას მეთაურობით მუდამ იმის ცდაში არიან, რომ მყიდველი გულნატკენი, ხელცარიელი არ გაუშვან მაღაზიიდან. დიდ ენერგიას იჩენენ საქონლის თვითშესყიდვაში.

ხელშეკრულების თანახმად ცეკავშირის ბაზამ მესამე კვარტალში ბათუმის რაიმაღაზიას უნდა მისცეს 250 ათასი მანეთის საქონელი. გასული ორი თვის განმავლობაში მაღაზიამ ბაზიდან ფაქტიურად მხოლოდ 70 ათასი მანეთის საქონელი მიიღო, 480 ათასი მანეთისა კი თვითონ შეისყიდა.

— საიდან?!

— სარეწაო არტელებისაგან, კოლმეურნეობებისაგან. მაღაზიას ხელშეკრულებები აქვს დადებული არტელებთან და სისტემატიურად ღებულობს მათ ნაწარმოებს. გარდა ამისა, კოლმეურნეობებს ამზადებინებს კეცებს, თიხის ნაწარმს, საცრებს და სხვ.

ბათუმის სარაიონო მაღაზიის მუშაკები ყოველთვის მყიდველის ინტერესთა თვალსაზრისით ეკიდებიან საქმეს; ცდილობენ კარგი ხარისხის საქონელი მოიტანონ მაღაზიაში, მაქსიმალურად შეამცირონ ხარჯები, რომ მყიდველს საქონელი იაფ ფასებში მიაწოდონ და მაღაზიაც არ აზარალონ.

ამ მხრივ საგრძნობი წარმატებებიც მოიპოვეს. წინასწარი ვარაუდის თანახმად მიმოქცევის ხარჯებისათვის მაღაზიას გამოყოფილი აქვს მთელი ბრუნვის 8,3 პროცენტი. ნამდვილად კი ივლისში ეს ხარჯები შეადგენდა ბრუნვის 5,3 პროცენტს, აგვისტოში 4,4 პროც.

დიახ, ბათუმის სარაიონო მაღაზიამ საქმით დაიმსახურა მომხმარებლის ნდობა. მომხმარებელმა იცის, რომ ამ მაღაზიაში მას არ მოატყუებენ, უვარგის საქონელს არ გაატანენ და ღირებულზე მეტს არ გადაახდევინებენ.

ამიტომ ამბობს ასეთი რწმენით სურეია გოგიტიძე.

— აწე ყორფელს ამ მაღაზიაში ვიყიდი!

ნ. ტყემალაძე.

ერთი მგზავრობის ამბავი

(ამხ. მ. ა. როზენცვეიგის საყურადღებოდ)

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ რკინისგზით იმგზავრო?

— სამგზავრო ბილეთი.

— კიდევ?

— დანიშნულ დროზე გამოცხადდე სადგურზე და შენს სამგზავრო ბილეთში აღნიშნული ადგილი დაიჭირო.

ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, მაგრამ...

ხშირი შემთხვევაა, რომ ბილეთიც წინასწარ გაქვს აღებული, დანიშნულ დროზეც ხარ მისული სადგურზე, მაგრამ შენს ბილეთში აღნიშნულ ადგილს მაინც ვერ იღებ და ხშირად ვერც გაემგზავრები. თუ ადგილი გაქვს, ვთქვათ „რბილში", ან „პლაცკარტიან მაგარში" — დასაწოლ ადგილს მაინც ვერ შოულობ და ფეხზე დგომითა და უძილობით იტანჯები.

ასე დამემართა მე 30 აგვისტოს.

საღამოს 7 საათზე № 43 მატარებლით ქობულეთიდან ტფილისში უნდა გამოვმგზავრებულიყავი ოჯახის წევრებთან ერთად. ქალაქის სადგურში შვიდი დღით ადრე ავიღე ბილეთები. სამი ადგილი „რბილში" მაქვს.

მოვიდა მატარებელიც... გავეშურე ვაგონისაკენ ბავშვებითა და ბარგით, მაგრამ არ მიშვებენ. რატომ?

— ადგილი არა გვაქვს! — მიპასუხა ვაგონის გამყოლმა.

— მე ბილეთები მაქვს და ადგილებიც უნდა [illegible], თუ კაცი ხართ გამიშვით, ნუ მაჩერებთ.. ავადმყოფი მყავს.

— არ არის ადგილი...

— კაცო, მატარებელი წავა, არ დაგვტოვო!

— ერთი ადგილი მაქვს მხოლოდ, სად მოვათავსოთ ამდენი ხალხი ნივთებით?

ამ დროს ვაგონის გამყოლს [illegible] პირში რაღაც ჩაულაპარაკა, ჩემი თანამდებობა დაუსახელა. ალბათ მიცნობდა. ამის შემდეგ გამყოლმა ვაგონის კარები თავაზიანად გამიღო და შემიპატიჟა.

— მე-3 და მე-4 ადგილი თავისუფალია, მე-2 კი მატარებლის უფროსს აქვს დაკავებული — ზრდილობიანად ამიხსნა მან.

— კი, მაგრამ, შემოსვლამდე რომ ერთი ადგილი გქონდათ მხოლოდ თავისუფალი? ახლა საიდან გაჩნდა ეს მესამე და მეოთხე?

გამყოლი გაწითლდა.

მოვაწყე ოჯახის წევრები. ჩემი ადგილი მინდა დავიკავო.

— აქ არ შეიძლება. ეს მატარებლის უფროსსა აქვს დაკავებული — მეუბნება გამყოლი.

— კი, მაგრამ, ეს ადგილი სადგურმა მე მომყიდა.

როგორც იქნა მოვნახე მატარებლის უფროსი და მოვთხოვე ადგილი.

— სადგურს არ უნდა გაეყიდა, ვერაფერს მოგცემთ. — მიპასუხა მან.

ერთ საათზე მეტი ფეხზე ვიდექი. შევნიშნე, რომ გამყოლი რაღაცას ეჩურჩულებოდა მატარებლის უფროსს.

ცოტა ხნის შემდეგ თითონ მოვიდა მატარებლის უფროსი და ზრდილობიანად შემომთავაზა იმავე კუპეში ადგილი.

— ეს ადგილი არ უნდა გაეყიდათ, ჩემთვისაა დაჯავშნული, — დასძინა მან.

მე მოვთავსდი.

— ოჯახის ერთერთ წევრისთვის ადგილი „პლაცკარტიან ვაგონში" მაქვს აღებული დანომრილი ბილეთი. წაველი მის მოსაძებნად.

— ასეთი ადგილი არ არსებობს — მეუბნება ამ ვაგონის გამყოლი.

— როგორ თუ არ არსებობს, აი ბილეთი.

— ადგილი № 1 შემნახველი კამერაა, იქ მგზავრს ვერ შევუშვებთ.

ერთხანს ჩემი ოჯახის წევრი ფეხზე იდგა, შემდეგ კი მოუნახეს ადგილი. ადგილი ყოველთვის მოინახებოდა, როდესაც ჩემს ვინაობას გაიგებდნენ.

რბილ ვაგონში რამდენიმე მგზავრმა განაცხადა, რომ ბილეთები იმათ აქვთ, მაგრამ მათ ადგილებზე სხვები სხედან.

სად. რიონში ერთი მოქალაქე ამოვიდა, წარადგინა ბილეთი და მოითხოვა ადგილი № 13.

— დაკავებულია ეს ადგილი — უპასუხეს მას.

ადგილების ძებნით დაღლილს ოდნავ ჩამთვლიმა, მაგრამ უეცრად გამაღვიძა ოჯახის წევრების წივილმა, თურმე ისინი გაუქურდავთ. მთელი ღამე თითქმის ყველა სადგურზე ასეთი დიალოგის მოწმე ვიყავი:

— გაგვატარეთ კაცო!

— ადგილი არ არის!

— შე დალოცვილო, ბილეთი მაქვს...

— ბილეთზე არაა საქმე, ადგილი არ არის.

ახლა ვკითხოთ ამ.-კავკასიის რკინისგზის უფროსს ამხ. როზენცვეიგს: — თუ ადგილები არ არის მატარებელში, რატომ იყიდება ბილეთები. და თუ ბილეთების გაყიდვა ადგილების მარაგზეა დამოკიდებული, რატომ ასე თავხედობს ზოგიერთი მუშაკი რკ.-გზაზე? მგზავრებს კულტურული მომსახურეობა ესაჭიროებათ. ამაზე კატეგორიულად მიგვითითებს პარტია და ხელისუფლება. რატომ ხდება, რომ ჩვენს გზაზე უგულებელყოფენ მგზავრის ელემენტარულ მოთხოვნილებებს?

ველით სასწრაფო პასუხს.

დ. ხიხაძე

(საქ. რესპ. პროკურორის უფროსი თანაშემწე)

ხუმრობის გარეშე

გულზე ხელების დაკრეფით

არავის საბჭოთა კავშირში, არცერთი ოფიციალური ორგანოს ხელმძღვანელს არ დაუდგენია, რომ ბაღებში გასართობად სიარული მოქალაქეთათვის სავალდებულო ყოფილიყო. ასეთია ადათი: ადამიანთა პირად ცხოვრებას დეკრეტებით არ აწესრიგებენ.

მაშ, რაღა ქნას სენაკის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ? უღალატოს ტრადიციას? გაბედოს? ტრადიციის დარღვევა კიდევ შეიძლება. ჩვენს დროში ეს არავის ეხოთირება. მაგრამ... რამდენად მიზანშეწონილი იქნება ეს ნაბიჯი? რომ დატუქსონ, უსაყვედურონ, ან კიდეც მოხსნან სამუშაოდან თავმჯდომარე? არა და საშველი არ არის. თითქოს ჯიბრში უდგანან მას ქალაქის მცხოვრებნი და ლამობენ ბაღის „კეთილმოწყობისათვის" გაწეული ამდენი შრომა წყალში გადაუყარონ, [illegible] სენაკელები ბაღს!

რკინისგზის სადგურმა მაინც რომ გააჭირვა საქმე. ყველა დაჯაბნა — ბაღიც, კლუბიც, კინოც და სამკითხველოც. ისე იზიდავს იგი ხალხს, როგორც მაგნიტი რკინის ნახერხს. თითო მგზავრზე ათი გამცილებელი მოდის, თითო მომსვლელზე — 20 დამხვედური. ფუტკარივით ირევიან ისინი სადგურის წინ. სეირნობენ, ლაღობენ, ერთობიან, შევიწროებული მგზავრები კი ბუზღუნობენ, იღრინებიან, ხანდახან უწმაწურად იგინებიან მოთმინებიდან გამოსულნი. ჯიბგირები ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში, ან ნადირი ულრან ტყეში. თავისუფლად დაძრწიან ბნელი ზრახვების მატარებელნი. სხვის ჯიბეებს ათხელებენ, საკუთარს ისქელებენ. გაძვრებ-გამოძვრებიან და ამ ზღვა ხალხში უჩინარი ხდებიან.

სადგური ამაყობს ამდენი ხალხით და უძლურ მეტოქეებზე გამარჯვებას ზეიმობს. თუმცა ეს გამარჯვება მიღწეულია არა მარტო იმით, რომ სადგური მთელ სენაკში ყველაზე უფრო განათებული ადგილია, არც იმით, რომ სადგურის უფროსი გულმოდგინედ იცავს მეგრული სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს.

ნამდვილი მიზეზი ძლიერ ცოტათია სადგურისაგან დამოკიდებული.

ქალაქის ბაღში სიბნელეა და ტალახი, ამიტომ იქ შესვლას შუა ქუჩაში ხეტიალი სჯობია ათასწილ.

ცოტაა სკამები და დასასვენებლად მოსულთა უმრავლესობას ფეხზე დგომა უწევს. მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები და მათი ცოლშვილი შინ, საკუთარ სკამებზე მშვიდად ჯდომას არჩევენ.

არ არის საზაფხულო კინო. ოდესღაც იყო საჭირო შენობა, მაგრამ ის მოძველდა, დაინგრა, მემკვიდრე კი არ გამოჩენილა.

ესტრადა, ჭადრაკი, შაში და სხვა გასართობები... ფანტაზიაა, ნუ გავავრძელებთ.

ძლიერობს მომღერალთა გუნდი, რომელმაც ამიერ-კავკასიის ხელოვნებათა ოლიმპიადაზე პირველობა მიიღო.

კვირაში ერთხელ ბაღის მყუდროებას დაარღვევს სასულე ორკესტრი. ჰარმონიულად შეირხევა ეთერის ტალღები და კიდით-კიდემდე გადასცემს ნაირ ჰანგებს. მაშინ ხალხი ოთხივე კუთხიდან მოაწყდება ბაღს. ეს ფაქტი ხუხულასავით არღვევს ამხ. გერასიმეს არგუმენტს, თითქოს სენაკელებს ეჯავრებოდეთ ბაღი. არ გამოჰყავთ მართებული დასკვნა, რომ ხალხს ეჯავრება: ტალახი, მოწყენილობა, რომ მას წყურია გასართობი, ადამიანური დასვენება.

კომკავშირი ვერ ბედავს ინიციატივის აღებას, თუმცა ყველაზე მეტად ახალგაზრდობა ზარალობს შექმნილი პირობებით.

პროფკავშირებს კი ჭეშმარიტად აქვთ უმოქმედობის გასამართლებელი საბუთი. მათ რომ ბაღში კულტურული მუშაობა დაიწყონ, მარტო დამკვრელები კი არა საწევრო ანარიცხების ბოროტგადამხდელები და, ჰოი, საშინელებავ, კავშირების გარეთ მყოფნიც მოინდომებენ ისარგებლონ პროფმუშაკთა ნაამაგარით! როგორ, როგორ შეიძლება ხაზის ასე გამრუდება!

იქნებ დადებითად გადაწყვიტოს საქ. კ. პ. (ბ) სენაკის რაიკომმა ქალაქის ბაღის კულტურულად მოწყობის საკითხი.

ჩვენ ამ გადაწყვეტილებას მივცემდით ხმას.

ან. ჟურჟა

ი. კვირიკაძე

რა ხდება საქართველოს კინომრეწველობაში

ლაპარაკს არ დავიწყებთ იმაზე, რომ საქართველოს საბჭოთა კინო-მრეწველობა დღიდან თავისი ორგანიზაციისა დიდად გაიზარდა. მან მისცა ჩვენს ქვეყანას მთელი რიგი კარგი ფილმები. მეფისა და მენშევიკების დროს საქართველოში ქალაქად 8 და სოფლად 5 კინო-თეატრი თუ იყო, ამჟამად ქალაქად 40 კინო-თეატრია, სოფლად 22 კინო-თეატრი და 106 მოძრავი კინო.

უკვე გვაქვს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი და მშვენივრად მოწყობილი კინო-ფაბრიკა, გვყავს მომზადებული კადრი საკუთარი რეჟისორების, მსახიობების, ტექნიკურ-საწარმოო მუშაკების და სხვ.

დღეს ჩვენ საქართველოს კინომრეწველობაში შექმნილი მდგომარეობა გვაინტერესებს, რადგანაც უკანასკნელ წლებში ისეთ ფაქტებთან გვაქვს საქმე, რომლებზედაც ღირს „ჩაფიქრება".

გამოსავალი ფაქტი შემდეგია:

1933 წელში, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად იკლო კინო-თეატრებში დამსწრეთა რაოდენობამ. თუ 1932 წელში კინო-თეატრებში დამსწრეთა რაოდენობა ქალაქში უდრიდა 3.443.000 კაცს, 1933 წელში ის ძლივს ერთ მილიონს აღწევს. სოფლად იმავე მაჩვენებლების მიხედვით: 1932 წელს—622.300 კაცი, 1933 წელს კი—412.300 კაცი.

რაშია საქმე?

ორი აზრიც კი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ ეს მდგომარეობა ძირითადად კინემატოგრაფიის პროდუქციის დაბალი ხარისხისა და მისი ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობის შედეგია.

დაისახელოთ ძირითადი ნაკლოვანებანი,

პირველი. აშკარად შეუსაბამობა კინო ქსელსა და კინოსურათების წარმოებას შორის. მოთხოვნილება კინო-სურათებზე მშრომელთა ფართო მასებში იმდენად დიდია, რომ არსებული კინო-ქსელი (კარგი სურათების პირობებში) უკვე არ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

განა სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენმა კინომრეწველობამ 1931 წელში გამოუშვა 1 სურათი, 1932 წ.—2 და 1933 წელშიც—2 სურათი? ამიტომაა, რომ ჩვენ მაყურებელს 75 პროცენტით ძველი, 1930 წელში და კიდევ უფრო ადრეც გადაღებული სურათებით კვებავენ.

მეორე. დისპროპორცია გამოშვებულ კინო-სურათების მხატვრულ ღირებულებასა და ჩვენი მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნათა შორის. მარტივად რომ ვთქვათ, მაყურებელი კარგ სურათს მოითხოვს. კინომრეწველობა კი ასეთ სურათებს არ უშვებს.

საბჭოთა კინემატოგრაფიამ თუ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რამდენიმე კარგი სურათი გამოუშვა, („შემხვედრი", „განაპირა", „ივანე", „26 კომისარი", „ქარიშხალი")—საქართველოს კინომრეწველობამ უკანასკნელ ხანებში ასეთი სურათების მოცემაც ვერ შესძლო და, როგორც წესი, მისი სურათები ან უვარგისია („უკმური"), ანდა საშუალოზე დაბლა დგას. აღარაფერს ვამბობთ მთელ რიგ ჩავარდნებზე, რომელთაც ჩვენი მაყურებლის ყურამდე არ მიუღწევია.

რამ მიიყვანა საქართველოს კინემატოგრაფია ამ მდგომარეობამდე?

აქ კი ცოტა დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ სახკინმრეწვის მოღვაწეობაზე.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კინო-სურათების გამოშვებაში გარღვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სასცენარო საქმის ძალზე სუსტი ხელმძღვანელობა, სცენარისტთა კადრის ნაკლებობა და მისი სუსტი კვალიფიკაცია. სცენარების სიმცირის გამო ზოგი რეჟისორი დაუტვირთავია, და უქმად ღებულობს ხელფასს. აღსანიშნავია, რომ დასადგმელად მიღებული სცენარებიც ვერ არის კარგი ხარისხის, რის გამო კინო-ფაბრიკაში წარმოების პროცესში სცენარების გადაკეთების ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა დამკვიდრდა. ეს იწვევს წარმოების დეზორგანიზაციას და აძვირებს მის ხარჯებს. შედეგად—50 ათასი მანეთიანი სურათი ჯდება 600—700 ათასი მანეთი და ზოგჯერ მილიონზე მეტიც.

მივმართოთ ფაქტებს.

1934 წელს 41 სცენარი იყო ფოტო-კინო მრეწველობის საქართველოს ტრესტის განკარგულებაში. აქედან წარმოებაში შევიდა მხოლოდ... 9 სცენარი, წარმოებიდან კი უკვე სურათის სახით გამოვიდა... 2!.

იმავე 1934 წელში წარმოებაში შევიდა 5 ახალი სურათი, აქედან სრულიად მოიხსნა საკმაოდ გაწეულ ხარჯების შემდეგ 2 სურათი და შეაჩერეს 1. ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ საქმის „ხელმძღვანელები" ხელშეკრულებას სდებდენ ისეთ პირებთან, რომელთაც არც სასცენარო და არც კინო-საქმის არაფერი არ გაეგებოდათ. შეიძლება იფიქროთ, რომ 1934 წელი ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. სასცენარო — ფულად „ოთურმას" უფრო გრძელი ისტორია აქვს.

ყოვლად გაუმართლებელ, „თავადურ" ხელგაშლილობას იჩენდა საქართველოს კინომრეწველობის სამმართველო ფულადი სახსრების გაცემაში და ყოველგვარი გარანტიის გარეშე, „შენ იცი და შენმა სინიდისმა"-ს მიხედვით, იძლეოდა ათას მანეთებს ხვალინდელ, ჯერ არ დაწერილ სავეჭო სცენარებში. ჯერ ერთი, ყველა „ავანსიორი" არ ნებულობდა გაებედნიერებინა თავის სცენარით სახკინმრეწვი და, მეორეც, ვინც ცოტა სინიდისმა შეაწუხა და „სცენარი" მიიტანა, ხშირად სამი დღის დისპუტი გახდა საჭირო იმის გამოსარკვევად, თუ რომელ ლიტერატურულ ჟანრს ეკუთვნოდა მიტანილი „ნაცოდვილარი".

შეიძლება ფაქტები არ გვაქვს და შეუმოწმებლად ვლაპარაკობთ ამას?

ინებეთ! რამდენიც გნებავთ!

სცენარი „ნანული" მიიღეს დასადგმელად. ავტორს მიეცა 16,250 მანეთი. სცენარი წარმოებას არ უხილავს, ვერც იხილავს, რადგან არ ვარგა. იგივე ბედი ეწვია სცენარებს: „მეგობრები" (გაცემულია 9.919 მანეთი), „კაკუნი კარებში" (გაცემულია 3.875 მან.), „ალილუია" (მართლაც ალილუია უქნეს.. 13.715 მანეთს), „ნაცარქექია" და „ანდეზიტი" (გაცემულია 12.596 მანეთი + 2.541 მ.) და ა. შ.

ერთი მაგალითი სურათის „წამების" შესახებაც. ი. მოსაშვილმა სცენარი „არშაულა" 1932 წლის 1 სექტემბერს ჩააბარა... რეჟისორი რონდელი აკეთებდა მას იმავე წლის დეკემბრამდე. დეკემბერში სცენარი ეღირსა წარმოებას. გავიდა დრო და რეჟისორმა კვლავ მოინდომა სცენარის გადაკეთება, რასაც 1933 წლის იანვარ-თებერვალი შესწირა. სცენარი, ახლა უკვე სხვა ტანსაცმელში გამოწყობილი, ისევ ესტუმრა წარმოებას. შემდეგ რა ბედი ეწვია — აღარ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ სურათი დღესაც არ არის მთლიანად დამთავრებული.

შედეგი? შედეგი ის არის (სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ), რომ სურათის საგეგმო ღირებულება არაჩვეულებრივად იზრდება. სახელმწიფოს ათეული და ასეული ათასი მანეთები წყალში იყრება, „როომოვშჩინა" იკიდებს ფეხს.

საქართველოს კინომრეწველობის ხელმძღვანელობის დანაშაულს ამძიმებს ის გაუმართლებელი და გაუგებარი დამოკიდებულება, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი მწერლობისადმი, პარტიამ უჩვენა მას გზა, თუ როგორ დაეღწია თავის სასცენარო გასაჭირისაგან და მიამაგრა კინოწარმოებას საუკეთესო მწერლები.

—თითქოს რაღაა მეტი საჭირო. მხატვრული სიტყვისა და აზროვნების ოსტატები „ბედმა" გარგუნა, დაეხმარე მათ ცოტა, გააცანი შენი საქმის სპეციფიკა, გაუწიე სინიდისიერი ხელმძღვანელობა და საუკეთესო სცენარები ხელში გექნება!

როგორც ჩანს, ეს აზრი ჭკუაში არ დაუჯდათ კინომრეწველობის ხელმძღვანელებს. წლები გადის და ჩვენ მაყურებელს დღემდე არ უნახავს არც ერთი სურათი ჩვენი მწერლების სცენარის მიხედვით გაკეთებული.

ისევ დაგვტრიალებს თავს კითხვა: რაშია საქმე? საქმე კი იმაშია, რომ როგორც გამოირკვა, სამმართველოს აპარატიდან ბევრს არ მოეწონა პარტიის სავსებით სწორი დირექტივა. ცნობილია, რომ სცენარისტი პროცენტებს ღებულობს მისი სცენარით დადგმულ სურათების საერთო შემოსავლიდან. ამით ხომ არ აიხსნება ის, რომ ბევრი „გარედან" შემოსული სცენარი იწუნება სამმართველოში (ბოროტი ენები ამბობენ, მათში ბევრი კარგიც ურევიაო). ამით ხომ არ აიხსნება ისიც, რომ რეჟისორებმა მეორე პროფესიად გაიხადეს სცენარების წერა. ჩვენში არ არის ისეთი რეჟისორი, რომელსაც არ დაეწეროს, არ წერდეს ან არ აპირებდეს სცენარის დაწერას. მძიმეა ეს ბრალდება, მაგრამ სხვაგვარად როგორ გავიგოთ ის, რომ სამმართველომ უყაირათოთ მიმოაბნია ჩვენი საუკეთესო მწერლები?

რამოდენიმე სიტყვა ისევ წარმოებაზე, სცენარებზე, ფულზე და ზოგიერთ რეჟისორზე.

საკმარისია 1933 წლის (შორს რომ არ წავიდეთ) საწარმოო დავალებათა შესრულებას გადავავლოთ თვალი, რომ დავრწმუნდეთ, რა გარღვევებთან გვაქვს საქმე. მივცეთ სიტყვა ციფრებს. ფაბრიკამ მხატვრული ფილმების წლიური გეგმა შეასრულა 81,7 პროც., ხმოვ. მხატვრ. ფილმების — 61,4 პროცენტით, მულტიპლიკაციის — 70,7 პროცენტით. ტექნიკური ფილმების წარმოება სრულიად ჩაშლილია.

მთლიანად კინო სამმართველოს მიერ 1933 წლის გეგმა 1926-27 წლის ფასების მიხედვით შესრულდა 60,8 პროცენტით.

1934 წელში როგორღაა საქმე, — შეიძლება იკითხოს მკითხველმა. ისევე, როგორც 1933 წელში, და ზოგან უარესადაც! აღარ გავაწითლებთ სირცხვილისგან ციფრებს და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 1934 წელში ოთხი ახალი სურათი უნდა დაეწყოთ, დაწყებული კი დღესაც არც ერთი არ არის. ახლა წარმოებაშია მხოლოდ ორი სურათი: „მდინარის იქით" (რეჟ. ბერიშვილი) და საბავშო სურათი „მზისაკენ" (რეჟ. მუჯირი). სამმართველოს [illegible] 1934 წლის 6 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52,8 პროცენტით. წლიური გეგმის შესრულება კი უდრის მხოლოდ 23,1 პროცენტს.

არ არის გასაკვირი ასეთი „ბრწყინვალე" ჩაშლა, თუ მოვიგონებთ სამმართველოს და ზოგიერთი რეჟისორის მუშაობის „ხერხებს". ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი საბჭოთა რუსეთის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს მიხედვით სურათის დადგმის, მაგრამ არ მიგვაჩნია მაინცა და მაინც ნორმალურად ის ამბავი, როცა ლენინგრადელი რეჟისორი ათასობით ულაპავს კილომეტრებს და... მანეთებს კვახჭირის კოლმეურნეობაზე სურათის გადასაღებად და ტფილისელი რეჟისორი კი ოპერაციებისთვის მოსკოვში მიეშურება.

ხომ არ გგონიათ ანეგდოტს ვყვებით? აი ფაქტიც: ცნობილი რეჟ. ნ. შენგელაია არ დააკმაყოფილა საქართველოს და ამიერ-კავკასიის „მასშტაბმა" და შეუდგა მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირის" ეკრანიზაციას. ხელშეკრულების ძალით რეჟისორს (? ი.კ.) სცენარი უნდა წარმოედგინა 1933 წლის 15 აგვისტოსათვის. წარმოადგინა სექტემბერში. სცენარი წარმოებაში გაიგზავნა 1934 წლის დასაწყისს. გადამღები ჯგუფი მთელი შემადგენლობით გაემგზავრა მოსკოვში. სცენარისათვის გაიცა 90.000 მან. მგზავრობისა და სხვა საჭიროებისათვის ათასობით მანეთები დაიხარჯა. შემდეგ... შემდეგ სცენარი მოიხსნა წარმოებიდან და გადაეცა ლენინგრადს. ასე დამთავრდა ეს „ისტორია გეოგრაფიით".

ასეთივე ბედი ეწვია სცენარს „ქალები ზაფხულში" (სცენარისათვის გაცემულია 25.000 მანეთი. 1934 წლის გეგმიდან სცენარი „თეთრ კლდეთა შორის" — რეჟისორის გარეშეა, მაშინ, როცა რეჟისორები დაუტვირთავია. სცენარი „შამხორი" მოხსნილია უვარგისობის გამო. რეჟ. ესაკიას და სცენარისტ მდივანის სცენარი „ზრმა" ჯერ კიდევ არ უხილავს წარმოებას. მიმდინარეობს მისი „პერმანენტული" გადაკეთება და მოსამზადებელი მუშაობა.

დამახასიათებელია სცენარის „ხიდი ენგურზე" თავგადასავალი. საწარმოო თათბირის დადგენილებით ექსპედიცია სურათის გადასაღებად 8 ივნისს უნდა წასულიყო. შეარჩიეს შტატი, იყიდეს 18 ცხენი (40.000 მან. მისცეს), დაუქირავეს სამი მეჯინიბე, შეიძინეს ინვენტარი, თივა, ფქვილი, ქერი, და შემდეგ... შემდეგ შეუდგნენ სცენარის გადაკეთებას. სცენარი ახლაც გადაუკეთებელია, ხარჯები მატულობს (უკვე „მოასწრეს" 156.000 მანეთის დახარჯვა), საზაფხულო ექსპედიციის დრო კი გადის, ჩაშლა კარზეა მომდგარი. უთავობა რომ ამაზე შორს წავიდეს, — ძნელი წარმოსადგენია.

ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები საკმაოდ მოწმობს იმას, რომ ფულად სახსრების უყაირათო, დანაშაულებრივი ხარჯვა ერთგვარ „სისტემად" არის გადაქცეული საქართველოს კინომრეწველობაში. ამას ადასტურებს ისიც, რომ სამმართველოს არ აქვს გატარებული ნამდვილი სამეურნეო ანგარიში. გახარჯვები, გათანაბრება, მუშების ჩამოცილება ჩვეულებრივი მოვლენაა.

არც ერთი რეჟისორი არ ცდილობს ხარჯების შემცირებაზე. მაგალითად, რეჟისორ ჭიაურელის სურათი უნდა დამჯდარიყო 650 ათასი მანეთი, დახარჯულია კი მილიონ მანეთამდე. კინო-ფირი (პლიონკა) გადახარჯულია 80 პროცენტით. სურათი „ნაზვამდის" (რეჟისორი მაკაროვი) 250.000 მანეთის ნაცვლად დაჯდა 470.400 მანეთი. კინო-ფირი უნდა დახარჯულიყო 6.400 მეტრი, ნამდვილად დაიხარჯა 22.000 მეტრი.

ფაბრიკის ხელმძღვანელები ერთმანეთს აწერებენ თანხების გაუმართლებელ ჩამოწერას. რა გასაკვირია ყოველივე ამის შემდეგ, რომ 1933 წელში ფაბრიკის ფინგეგმის გადახარჯვა 614.000 მანეთს უდრიდა, და მიმდინარე წელში კი გადახარჯვამ უკვე 534.000 მანეთს მიაღწია.

მრავალ სხვა ნაკლოვანებათა შორის აუცილებლად უნდა გაუსვათ ხაზი კადრების მომზადებისადმი უყურადღებობას: დღემდე კადრების მომზადების გეგმაც კი არ ჰქონია სამმართველოს. კინომრეწველობას სჭირდება სცენარისტთა და აქტიორთა კვალიფიციური კადრები. მას ჰქონდა საშუალება შეემსუბუქებინა თავისი მდგომარეობა, მაგრამ „ვერ მოახერხა".

საქმე ისაა, რომ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ტფილისიდან გაიგზავნა 49 კაცი. შერჩევა „შინაურული" წესით მოხდა, რაშიდაც დიდ როლს თამაშობდა არა უნარი, ნიჭი, საქმისადმი სიყვარული და თავდადება, არამედ „ძმაბიჭობა" და ნათესაური კავშირი.

შედეგი?

შედეგი, რა თქმა უნდა, უშედეგო უნდა ყოფილიყო. 49 კაციდან ინსტიტუტს შერჩა მხოლოდ... 6 კაცი, მათ შორის დაამთავრა 4-მა და ჩვენთან მუშაობს კი 3 კაცი. 49 და 3. საინტერესო მიღწევაა, საინტერესო ზოგიერთი ორგანოსათვის.

ეს ფაქტები ამჟღავნებს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია საქართველოს კინომრეწველობაში.

ჩვენი მიზანია: გარდავქმნათ საქართველოს კინომრეწველობის „მუშაობა", დავეხმაროთ მას ჩამორჩენილობის აღმოფხვრაში და მთავარი ამოცანის მიღწევაში: დროზე და საკმაო რაოდენობით მისცეს საბჭოთა მაყურებელს მაღალი ღირსების, მხატვრულად და იდეოლოგიურად „მაგრად შეკრული" ფილმები.

სად დაიკარგა
15 აგვისტოს „კომუნისტი"?

(თიანეთის რაიონი)

ა.-წ. 15 აგვისტოს ტფილისში, გაზ. „კომუნისტში" წავიკითხე წერილი თიანეთის რაიონის შესახებ სათაურით: „მოსამართლე უნდა გასამართლდეს". წერილში აღნიშნული იყო მთელი რიგი ფაქტები იმ უმზგავსოებათა შესახებ, რომელიც ჩადენილი აქვს მოქ. გოჩელაშვილს და მის ძმა-ბიჭებს, აგრეთვე თელავის სახალხო მოსამართლე წვერიკამაშვილის მიერ ჩადენილი აღმაშფოთებელი ფაქტები.

მეორე დღეს მომიხდა თიანეთში წასვლა, თან წავიღე „კომუნისტის" ხსენებული ნომერი.

— რა გამოძახილი ჰპოვა რაიონში „კომუნისტის" მხილებამ? — შევეკითხე ამხანაგებს.

— რა მხილებაზე ლაპარაკობ?

— როგორ, არ წაგიკითხავთ?!

—გაზეთი არ გვინახავს და როგორ წაგვეკითხავდით!

ეს საუბარი 18 აგვისტოს მოხდა. წავედით ფოსტაში და ვესაუბრეთ ამხ. კაკურიძეს (ფოსტის გამგე).

— რატომ არ დაუგზავნეთ ხელისმომწერლებს 15 აგვისტოს „კომუნისტი"?

— იმ ხანებში მე ტფილისში ვიყავი, გაზეთი ვნახე იქ და არ ვიცი რა მიზეზია, რომ 15 აგვისტოსი არც ერთი ნომერი არ მივიღეთ.

— „კოლექტივიზაციის", „მუშა" და სხვა გაზეთები?

— ისინი ყველა მივიღეთ.

— არ მიგიღიათ, თუ ფოსტამ დააპატიმრა გაზეთები? — გაჯავრებით შეეკითხა მეორე ამხანაგი.

— შენ ინტრიგის ხასიათზე ხარ ჩემო ძმაო, — დინჯად უპასუხა კაკურიძემ და ზურგი შეგვაქცია.

წავედით პარტრაიკომში. ვნახეთ ამხ. ვანო დვალი (რაიკომის მდივანი). მან ეს ამბავი გაიკვირვა. რაიაღმასკომში ვნახეთ ამხ. ლადო ხუჯაშვილი (თავმჯდომარე), რომელსაც მოვახსენეთ, თუ რა ბედი ეწვია „კომუნისტის" 15 აგვისტოს ნომერს. იმ წამსვე მოიხმო ფოსტის გამგე და მოსთხოვა დამნაშავის დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემა, არც ამით გამოსწორდა საქმე. გაზეთები მაინც „დაიკარგა".

მაინც როგორ „დაიკარგა" გაზეთები? ტფილისში ყოფნის დროს კაკურიძემ გაზეთში ამოიკითხა თავისი ბიძა ლადო კაკურიძის მონაწილეობა გახრწნილებაში და ტფილისშივე დააპატიმრა რაიონში გადასაგზავნი გაზეთები და მთელი შეკვრა ოთახისაკენ გაქანა.

ლადო კაკურიძე სასადილოს გამგეა. რაიკომმა კარგად იცის, რომ ეს გახრწნილი ადამიანი თვითმპყრობელობის დროს ითვლებოდა დამსჯელი რაზმის წევრად, მუშაობდა ქუთაისში და რამოდენიმე რევოლუციონერი გამოასალმა სიცოცხლეს. აი, ასეთი „გამგე" ჰყავთ პასუხისმგებელი მუშაკების სასადილოში. აი ამ ადამიანის ინტერესებს შეეწირა თიანეთში „კომუნისტის" 15 აგვისტოს ნომერი. ფაქტიურად პარტრაიკომის მდივანმა ამხ. დვალმა, მისმა მოადგილემ ამხ. ზიფერტმა და სხვებმა იცოდენ კაკურიძის მოქმედება 15 აგვისტოს გაზეთის გადაკარგვაში, მაგრამ რატომღაც სდუმდენ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის. ფოსტის გამგე კაკურიძე პირველად როდი სჩადის ამ უმზგავსოებას. მან წინათ შეაჩერა საქართველოს სახკომსაბჭოს სახელზე გაგზავნილი დეპეშა მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების შესახებ. რომელიც გაგზავნა რაიპროფსაბჭომ ამხ. სულაბერიძის ხელმოწერით. ეს კაკურიძემ რაიკომთან შეთანხმებით ჩაკეტა.

— ამხ. ვანო! ეს დეპეშა მგალობლიშვილმა რომ წაიკითხოს, ხომ ყველას პასუხის გებაში მისცემენ?"

დეპეშაში ეწერა: „არ მიუღიათ მასწავლებლებს 4 თვის ხელფასი დანიშნულების თანხები იხარჯება უმიზნოდ, გთხოვთ მიიღოთ ზომები"-ო.

— შეაჩერე, არ გაგზავნო, — უპასუხა ამხ. ზიფერტმა (რაიკომის მდივნის მოადგილე).

დეპეშაც შეჩერდა. ეს საქმე განიხილა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა (იხ. გაზ. „მუშა" ა.-წ. 4 აგვისტო). პრეზიდიუმის დადგენილებით კაკურიძის სასჯელი უნდა დასდებოდა. მაგრამ, როგორც ხედავთ გათამამებული მ. კაკურიძე დღეს გაზეთებსაც კი აპატიმრებს.

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობთ, რომ საქმეში ჩაერევა რესპუბლიკის პროკურორი და კაკურიძესთან ერთად მის ძმა-ბიჭებსაც მისცემს პასუხისგებაში.

ქ. ფირცხალაიშვილი

26 კომუნარის სახ. ქარხნის კომკავშირელები ფიზვარჯიშობაზე

* * *

წითელი არმიის
საუკეთესო ცვლა

სოხუმი, 17 სექტემბერი. უკვე ორი დღეა სოხუმში დაიწყო მშრომელი ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა. 16 სექტემბერს წითელ არმიას გადაეცა საუკეთესო ახალგაზრდა ახალწვეულები — სოხუმის საწარმოების და ახალ მშენებლობათა დამკვრელები. მაგალითად: **ალექსანდრე უშაკოვი** — აფხაზეთის მთავრობის სახლის მშენებლობის მუშა, რომელიც არა ერთხელ იყო დაჯილდოებული დამკვრელური მუშაობისათვის. მან მთლიანად ჩააბარა ნორმა — „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის“ ჯარში გაწვევამდე პრომზადების პროგრამა კარგად შეითვისა, აქვს ვოროშილოვისებური მსროლელის სახელწოდება. ამხ. ცაავა — „სოიუზტრანსის“ მექანიკური სახელოსნოს საუკეთესო ზეინკალი, რომელიც არა ერთხელ თუ დაჯილდოებული.

კომისიამ გამოამჟღავნა უცხო ელემენტების არმიაში შეპარვის ცდები. ესენი არიან ბელეცკი — თეთრგვარდიელი ემიგრანტის შვილი, ბორის ტურიკი — ოფიცრის შვილი. გაწვევა გრძელდება. შემოდის [illegible] რიგი განცხადებები ახალგაზრდ[illegible]ან, რომლებიც ცდილობენ მოხვდენ წითელ არმიაში მოხალისეებად.

* * *

საბჭოთა გრაფიკის და ხატვის გამოფენა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. უცხოეთთან კულტურული დაკავშირების საკ. საზოგადოება ლონდონში აწყობს საბჭოთა გრაფიკის და ნახატის გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საუკეთესო საბჭოთა მხატვრების 400-მდე სურათი, მათ შორის ფავორსკის, კრავჩენკოს, ვერეისკის, გონჩაროვის, სუვოროვის, ბოგოლიუბსკის, ეჩეისტოვის და სხვ. სურათები. გამოფენა მოთავსებული იქნება ლონდონის ერთერთ საუკეთესო სამხატვრო გალერეაში (ადს).

* * *

მოწინავეთა რიგებში

მე-17 პარტყრილობის ისტორიულ დადგენილებათა საფუძველზე ორჯონიკიძის რაიგანათლების განყოფილებამ აქტიური მუშაობა ჩაატარა მცირემცოდნეობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

რაიონის ის მოსახლეობა, რომელიც არ არის ჩაბმული წარმოება-დაწესებულებებში, მთლიანად არის აღწერილი სამეურნეო თავმჯდომარეთა გამოთახებით. მათვე დაევალათ, რომ მათ მმართველობის ქვეშ მყოფ სახლებში მცხოვრები წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირემცოდნენი აღრიცხონ, გახსნან ჯგუფები და ამჟამად გახსნილია 120 ჯგუფი, სადაც მეცადინეობს 576 წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე. ამის შემდეგ ორჯონიკიძის რაიონში სავსებით ლიკვიდირებული იქნება წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამ მუშაობის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამავე რაიონის პოლიტგანის მუშაკებმა ამხ. აკაკი სიჭინავამ და ლ. ჩხიკვაძემ, რისთვისაც მათ პოლიტგანის ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვოროშილოვის სახ. კლუბთან არსებულ ნორჩ პიონერთა ბრიგადის დახმარება მარაგ-სამეურნეობის თავმჯდომარეთა აღწერის საქმეში.

ასე პირნათლად შეასრულა ორჯონიკიძის რაიონის პოლიტგანმა პარტიის და მთავრობის დადგენილება.

გ. ქნელაძე

საქკარაქმრეწვმა დამზადების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა

ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. **ბერიას** და საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **მგალობლიშვილის** სახელზე გაგზავნილ პატაკით საქკვების მრეწველობის კომისარიატის რწმუნებული ამხ. ქურულორია და საქკარაქმრეწველობის დირექტორი ამხ. **ახვერდოვი** იუწყებიან:

საქკარაქმრეწვმა ყველის და ერბო-კარაქის წარმოების და დამზადების წლიური გეგმა დამტკიცებული საკავშირო მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ ვადამდე შეასრულა.

გამომუშავებული და დამზადებულია ერბო-კარაქი 1716 ცენტნერი— ნაცვლად 1714 ცენტნერისა, წლიური გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით.

გამომუშავებული და დამზადებულია ყველი 5003 ცენტნერი—ნაცვლად 5.000 ცენტნერისა (წლიური გეგმის 100,06 პროც.).

* * *

საპალდეგულო სანიტარულ წესებს არ იცავენ

სანიტარული ექიმების მონაწილეობით ამ დღეებში **ქუთაისის, ბათომის და სამტრედიის** კვების საწარმოებში, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 22 დეკემბრის დირექტივის საფუძველზე, ჩატარდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გამოკვლევა.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ წინანდელთან შედარებით ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ ქარხნის ეზოში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაცული სისუფთავე, ჭაობი ყველგან არ არის ამოშრობილი. ქარხნის ეზოში ქუჩიდან არხია შემოყვანილი, რომელშიაც აშმორებული წყალია ჩამდგარი. ეზო ჯეროვნად არ არის გამწვანებული, საწყობის შენობაში წვიმა ჩამოდის და სხვ.

უკეთესი მდგომარეობა არც ქუთაისის მექანიკურ პურის საცხობშია. ფურნე მეტად ვიწრო შენობაშია მოთავსებული, ეზო პატარა აქვს, საპირფარეშო და სანაგვე ყუთი ახლოა პურის საზელ და საცხობ საამქროებთან.

ანტისანიტარიაა გამეფებული აჭარისტანის სოფმრეწვის საკანდიტეროში (ბათომი). ამ საწარმოს გვერდით დაგროვილია ნაგავი. ასეთ პირობებში საკანდიტეროს დატოვება ყოვლად შეუძლებელია. სანიტარულ-ჰიგიენური წესები თვალსაჩინოდ არის დარღვეული აჭარსოფმრეწვის ლუდის ქარხანაში (დირექტორი ალ. მიქელაძე და ტექნიკური ხელმძღვანელი კარლ გუტი).

[illegible] მდგომარეობაა სამტრედიის ხილის კომბინატში. აქ პავილიონის და [illegible] მეტად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული. ამ საამქროების შენობის კედლებს ბევრი ჭუჭრუტანები აქვს, რომელშიაც ქარს თავისუფლად შეაქვს მტვერი და ანაგვიანებს პროდუქციას; საამქროებში ხილეულის გაწმენდა, დასუფთავება წარმოებს შემოუფარგლავ და გაღობურავ შენობაში, რაც ყოვლად დაუშვებელია. შედარებით კარგი მდგომარეობაა სამტრედიის მაცივარში. აქ ყველა მომუშავეები გაცნობილი არიან საკავშირო კომუნისტური პარტიის ც. კ. 22 დეკემბრის დირექტივას.

ი. ბახტაძე

ხელოვნება

ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის თეატრი

26 ივლისიდან [illegible] იმყოფება ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი, რომელიც დასვენებასთან ერთად რეჟ. გ. **მურღულიას** ხელმძღვანელობით ამზადებს პიესებს მომავალი სათეატრო სეზონისათვის.

თეატრი უკვე მუშაობს პრუტის პიესა „თავადი მსტისლავ უდალოი“-ზე (თარგმანი ნ. აგიაშვილის). ამ პიესით გაიხსნება სეზონი ა.-წ. 7 ნოემბერს.

გარდა ამ პიესისა მზადდება კორნეიჩუკის — „ესკადრის დაღუპვა“. ძველი დადგმებიდან განმეორებული იქნება „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ და „ალილუია“.

თეატრი აწარმოებს სტუდიურ მუშაობასაც, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები, სადაც წარმოებს ფართო თვითგანვითარებით მუშაობა.

ვ. ლ—ი.

საბჭ. კავშირი მდიდრდება მრეწველობის გიგანტებით



სურათზე: მძიმე მანქანათმშენებლობის სტალინის სახელობის კრამატორსკის ქარხნის თუჯის ჩამომსხმელი № 1 საამქრო.

სასამართლო
საცოდავი „ხიზანა“

პატარა ბავშვი, გლახა, საძაგელი, სასაცილო ბავშვი... „აბურძული წიწილა“... დაკონკილი, უსუფთაო, თმაგაწეწილი, ძვალტყავა, სუსტი... მისი თვალები საწყლად იცქირებიან... ბავშვი იმდენად პატარაა, რომ ძლივს დადის, სისუსტისაგან კი ვერ ლაპარაკობს, კნავის საცოდავი.

მისი ბინა კაკლის ხის ტოტებია. აკვანი — ერთი ღერი ფიცრის ნაჭერი და ნივთი — ჭუჭყიანი მუთაქა.

რძე!.. დედის ძუძუ?!. მშობლის ალერსი?!. ნახა?!.

საცოდაო „ხიზანა“!.. შენ რძეს არ გასმევენ!. დედის ძუძუ არ გეძლევა! მშობელი არ გიალერსებს! ნანას არავინ გეუბნება!

რძე არ აქვს დედაშენს. მისი ძუძუ გამშრალია დედა ავად არის. საავადმყოფოში წევს. მამა?!. მამას არ უყვარხარ. მამამ სახლიდან გაგაგდო. გცემა, თავი გაგიტეხა. შეგიძულა... შენ საცოდავო, შენ მამისა გეშინია. ახლოს ვერ ეკარები და ცხოვრობ ხარ კაკლის ხის ძირას, შინისაგან დაშორებით. ეს არის შენი შინა, შენი ბინა.

საცოდავი „ხიზანა“... კვდება ბავშვი შიმშილით, სიცივით, შიშით... „ხიზანა“ ერთი წლის ბავშვსა გავს. სინამდვილეში მეტი ხნისაა. სამწლინახევარი მალე ოთხისა გახდება.

მაგრამ განა ოთხი წლის ბავშვს შეუძლია კაკლის ხის ქვეშ ცხოვრება, უდედმამოთ, უპატრონოდ დღითა და ღამით?!

„ხიზანამ“ რა ქნას. არავინ არის მისი პატრონი, დედა საავადმყოფოშია ბებიას ყურადღება ვერ მიუქცევია თავისი ვაჟის შიშით.

მამა... ო, მამა.. ეს არის რაღაც არაუდიერი პიროვნება. საშინელი, საზიზღარი. **დიმიტრი შაქარაშვილისა** ყველას ეშინია სოფელში. ის იმუქრება, ყველას სიკვდილით აშინებს, რატომღაც შეიძულა განსაკუთრებით დედათა სქესი. სისტემატიურად სცემს ცოლს. არ დაინდო არც საკუთარი შვილები. ჯერ იყო და უფროს გოგონას ცულით თავი გაუტეხა. მძინარე ბავშვი ლოგინიდან გადმოათრია და მიწაზე დაანარცხა მას შემდეგ შურა ორივე ფეხით დაინვალიდდა. ბოლოს ბებიამ (დედის დედამ) უშველა შვილიშვილს წაიყვანა და ზრდის შურა ახლა 8 წლის ქალია.

დარჩა პატარა ანეტა. ის ანეტა, რომელიც ახლა „ხიზანათ“ მონათლული კაკლის ხის ძირას ცხოვრობს და არავინ არის მისი პატრონი.

„ხიზანა“ დასნეულდა. მისი სხეული მუწუკებმა დაფარა. ბავშვს მატლები დაესია ზეზეურა.

ხედავენ მეზობლები. ბუნებრივია — ბავშვი ეცოდებათ, მაგრამ დიმიტრი შაქარაშვილის შიშით ვერავინ ბედავს მის დახმარებას საკუთარი ბებიაც და ბაბუაც კი [illegible] აზრებენ.

დარჩა პატარა „ხიზანა“ თავისი ჭუჭყიანი მუთაქით და ფიცრის ნაჭერით. ცხოვრობდა ის ხან კაკლის ხის ძირში, ხანაც ბოსელში. ბებია ანას მასთან მალულად დაქონდა საჭმელი და აგრძელებდა საცოდავი ბავშვის დათვლილ დღეებს.

დიმიტრი შაქარაშვილს სხვა შვილებიც ყავს, რომელსაც არ აკლებს მშობლიურ ზრუნვას. თუმცა ხშირად მათაც წათუთაქებს ხოლმე. მაგრამ სად პატარა ბიჭიკოს — უთარის და სად საბრალო „ხიზანას“ ბედი.

მამის მტკიცე გადაწყვეტილება — უპატრონოდ ცისქვეშ მიტოვებული მახინჯი ბავშვი მალე წაიხრჩობა. შაქარაშვილი არ დაეძებს იმ დღეს, როცა ეს უნდა მოხდეს.

და მიდიან „ხიზანას“ დათვლილი დღეები კაკლის ხის ძირში. თანდათან ილევა, დნება. პატარა, გლახა, საძაგელი, სასაცილო ბავშვი.

... დედაც განიკურნა. მოვიდა შინ. ოჯახობა განაგრძო. მაგრამ ხიზანას დარი მაინც არ დადგა. ხიზანა მაინც კაკლის ხის ძირას ცხოვრობს კაკლის ხე და ბოსელი — აი საბრალო ბავშვის ორი მისამართი.

ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ხიზანას და შინ წაიყვანა. ეს იყო იმავე სოფლის მცხოვრები შამამთავრიშვილი. ამ ადამიანმა ბავშვს ამ აწრილს აჭამა, ჩააცვა, დაასუფთავა ხიზანამ ლაპარაკიც ისწავლა. მისი სახე ოდნავ გამხიარულდა, ძვალსა და კანს შუა ხორცი ჩაიდგა და ბავშვს დაემსგავსა.

მაგრამ როგორც ხიზანას ისე მის უფროს დას შურას თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ცოტა სხვა გვარი პატრონი გამოუჩნდა. ეს გახლდათ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო. რომლის გზითაც საქმე სასამართლომდე მივიდა.

ბავშვების უპატრონოდ მიტოვებისა და ფიზიკურ განადგურებამდე მიყვანისათვის პასუხისგებაში მისცეს არა მარტო დიმიტრი შაქარაშვილი, არამედ მისი ცოლი და მოხუცი მშობლებიც.

შედეგი..

დიმიტრი შაქარაშვილი გამსახლში გაატარებს 8 წელიწადს. როცა პატიმრობის ვადას მოიხდის, 5 წელიწადს საარჩევნო ხმის უფლება აღარ ექნება.

შაქარაშვილის ცოლი **თამარა**, მისი ღვიძლი შვილების ტანჯვის ატანისათვის, იმისათვის, რომ მან ეს ამბები არ აცნობა ხელისუფლებას, **სამი წლით პატიმრობის ღირსია**. ამავე მოსაზრებით უნდა დაპატიმრებულიყო 76 წლის ბაბუა **ალექსი** და 62 წლის ბებია **ანნა**, მაგრამ სასამართლომ სამ უკანასკნელს პატიმრობის ეს ვადა 5 წლის პირობითი სასჯელით შეუცვალა.

ყველაზე მთავარი, ყველაზე შესანიშნავი ამ დადგენილებაში:

„დიმიტრი და თამარა შაქარაშვილებს გადახდეთ 2 ათასი მანეთი ანეტას („ხიზანას“) საზრდოთ და როგორც ბავშვი, ისე ეს თანხა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატს. მათვე (მშობლებს) გადახდეთ მეორე 2 ათასი მანეთი და გადაეცეს იგი კატო გრძელიძეს (ბავშვის ბებიას) **უფროსი გოგონას — შურას აღსაზრდელად**“.

შაქარაშვილების ქონებას [illegible]

კაიშელი

ფიზკულტურა და სპორტი
ფეხბურთი
არმავირი — ტფილისი

16 სექტემბერს ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში თამაშობდა არმავირის ნაკრები გუნდი „დინამო“ და ცეკავშირის გუნდი. სრულ 5 საათსა და 30 წუთზე გუნდები მოედანზე არიან. იწყება თამაში. უტევენ სტუმრები, მაგრამ შედეგს ვერ აღწევენ. ბევრი კრიტიკული მომენტები იქმნება ტფილისელების კარებთან, მაგრამ მცველების მოხდენილი თამაშით ბურთი უკან ბრუნდება. ორივე გუნდი მონდომებით თამაშობს მაგრამ თამაშის პირველ ნახევარში შედეგს ვერ აღწევენ და თამაშს ამთავრებენ 0:0.

თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობა ტფილისელებმა იგდეს ხელთ. ბურთს სწრაფად გაიტაცებს მარცხენა გარემარბი **დ. რამიშვილი** და მაგარი დარტყმით მოაქცევს სტუმრების ბადეში. თამაში კიდევ უფრო გაცხოველდა. სტუმრები მალე აქვითებენ ამ ბურთს... მაგრამ კვდება კუთხური, საიდანაც სტუმრებს კიდევ ერთი ბურთი ემატებათ.

ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა და თამაში დამთავრდა 2:1 ტფილისელების სასარგებლოდ.

თამაშს ძალზე ცუდად სჯიდა **ლარიონოვი**.

◆

თელავში შენდება ფიზკულტურის სტადიონი

თელავში, ქალაქის ცენტრში მიმდინარე წლის მარტიდან დაიწყო ფიზკულტურის სტადიონის მშენებლობა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მოთხოვნილებას. მთავარი ნაწილების მშენებლობა დამთავრებულია და ამჟამად მიმდინარეობს მისი ზედაპირის გასწორება და აგეგმვა. სტადიონი შენდება ფიზკულტურის უკანასკნელ მიღწევების გათვალისწინებით. მოეწყობა ფეხბურთის, კალათბურთის, ფიზკულტურული ვარჯიშის და ჭიდაობის მოედნები. მის მახლობლად გამოყოფილია ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოეწყობა ფიზკულტურის სახლი.

სტადიონი დაიტევს 2000-მდე მაყურებელს.

მშენებლობის დამთავრება და სტადიონის საზეიმო გახსნა გათვალისწინებულია [illegible]მბრის დღესასწაულთან დაკავშირებით.

წინადადება შემომ[illegible]ს

ტფილისის ტრამვაის დირექციამ ფედერაციის მოედანზე ტრამვაის ოცი ვაგონის (მარშუტი № 1 და № 18) მოსაბრუნებელი წრე 4 ვიწრო და მიხვეულ მოხვეულ ქუჩაში გაიყვანა. ამ გზით მობრუნებაზე ვაგონი ხარჯავს 10 წუთს. ეს დრო კი, როგორც ქვემოდ დავინახავთ, იკარგება სრულიად უნაყოფოდ. მგზავრები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ მოძრაობის გართულების გამო.

ვაგონი 18 საათს არის ყოველდღიურ ექსპლოატაციაში, სადგურსა და ფედერაციის მოედანს შორის მიმოქცევას იგი 30 წუთს ანდომებს, თითო ვაგონი აკეთებს 36 რეისს; თუ თითო რეისზე ის კარგავს 10 წუთს, მთელი დღის განმავლობაში დაკარგავს 360 წუთს ე. ი. 6 საათს. ერთ თვეში ეს დანაკარგი დრო შეადგენს 180 საათს, წელიწადში 2.160 საათს. 20 ვაგონი კი წელიწადში დაჰკარგავს 43.200 საათს. ასევე ცდება მომსახურე პერსონალიც.

გაცდენილი დროის რაციონალური გამოყენება ჩვენ მოგვცემდა წელიწადში 1.683.000 მანეთს.

ამიტომ, სანამ გვიან არ არის, საჭიროა ახლავე გადაიჭრას ეს საკითხი და ვაგონების მოსაბრუნებელი წრე რაციონალურად მოეწყოს. აქ ოთხგვარი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. ან მოსაბრუნებელი წრე მოეწყოს პუშკინის ბაღის ირგვლივ, ან ტრამვაის ხაზი გაყვანილ იქნეს ლეცხოველის ქუჩაზე მუზეუმის შესავლიდან, ან რუსთაველის პროსპექტზე ამოსასვლელით. ან მოსაბრუნებელი წრე მოეწყოს ვაგონების ჩასვლისთანავე ფედერაციის მოედანზე, ან იაროს 1-ლმა და 18 ნომერმა მარშუტის № 2, 3 და 4 მიმართულებით. ერთერთი ამ ვარიანტთაგანის განხორციელება საგრძნობლად გააუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას და ტრამვაისაც დიდ მოგებას მისცემს.

ვ. ქებაძე



ასფალტის დაგება ა.-კ. ფედერაციის მოედანზე ტფილისში

მეცნიერება და ტექნიკა
ლიმონ-მჟავას მიღება ბიოქიმიური გზით

ორგანულ მჟავებს შორის, რომელთაც საკვები მნიშვნელობა აქვთ, პირველი ადგილი უსათუოდ ეკუთვნის ლიმონმჟავას. შემდეგი მჟავა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ლიმონმჟავა, არის ღვინის მჟავა. მაგრამ უკანასკნელის მისაღები რესურსები ჯერჯერობით განსაზღვრულია გარკვეული ხედლიულით: მეღვინეობის ნარჩომებით. ლიმონის მჟავას მიღება ამიერკავკასიაში, ევეს გარეშე, უცხოეთში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

უკანასკნელ დრომდე მთავარ, შეიძლება ითქვას, ერთად ერთ წყაროს მის მისაღებად წარმოადგენდა ციტრუსოვანთა ნარჩენები, უმთავრესად — ლიმონის დაუმწიფებელი ნაყოფი. ზოგიერთი ხილი, მაგალითად, მოცხარი, აგრეთვე შეიცავს ლიმონის მჟავას მნიშვნელოვან რაოდენობას. მართალია, მოცხარი დიდი რაოდენობით მოიპოვება კავშირის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ იგი ვერ ჩაითვლება რენტაბელურ მასალად ლიმონის მჟავას წარმოებისათვის, ვინაიდან მოცხარის წვენი და სიროფები [illegible] გამოყენებას პოულობს სასურსათო მრეწველობაში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ყურადღება მიიქცია თამბაქო — „მახორკის“ ნარჩენების გამოყენებამ ლიმონის მჟავას გამოსაყოფთ.

ლიტერატურული მასალების მიხედვით „მახორკაში“ ლიმონის მჟავას შეცულობა 7—10 პროც. აღწევს. ჩვენს განკარგულებაში არ მოიპოვება მასალები ამ ნარჩომების რაოდენობის შესახებ, რომ ვიმსჯელოთ იმ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ამ გამოსავალ პროდუქტებთან და წარმოების რენტაბელობაზე. ყოველ შემთხვევაში კავშირში ეს ჯერ კიდევ ახალი საქმეა და ერთგვარ დროს მოითხოვს იმისათვის, რომ ყოველმხრივ იქნას შესწავლილი.

არც ისე შორეულ წარსულში უცხოეთის სასურსათო პროდუქტების მრეწველობა დაადგა ლიმონ მჟავას წარმოების ახალ გზას, რომელიც მდგომარეობს შაქრის ან სახამებლის შემცველ ნივთიერებათა გარდაქმნაში ლიმონის მჟავათ ბიოქიმიური გზით.

მთავარ აგენტს ამ გარდაქმნაში წარმოადგენენ ობის სოკოები, უმთავრესად Aspergillus niger-ის სხვადასხვა შტამბები. საქარხნო პირობების განხორციელება დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან, რის გამო საქარხნო მუშაობის ხერხებს უცხოეთში მეტად საიდუმლოთ ინახავენ.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამჟამად ლენინგრადში ეწყობა ნახევრად საქარხნო დადგმულობა ლიმონის მჟავას მისაღებათ ბიოქიმიური გზით.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ქიმიის კათედრამ მთელ რიგ სხვა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს შორის მიზნათ დაისახა აღნიშნული წესით ლიმონ-მჟავას მიღების ტექნოლოგიური პირობების შესწავლა. ვინაიდან ლიმონ-მჟავას მიღების ლაბორატორიული წესი მნიშვნელოვანად არის დამუშავებული უმთავრესად აკად. კოსტიჩევისა და პროფ. ბუტკევიჩის შრომებით, ჩვენს მიერ დასახულ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს აღნიშნულ მკვლევართა მიერ შემუშავებული მეთოდები.

რაც შეეხება წარმოების საქარხნო სქემას, ამ მხრივ ვაპირობთ წასვლას ტექნოლოგიური პროცესის ორიგინალური — საკუთარი ხერხების დამუშავების გზით.

პროფ. ს. ს. ფილატოვი.
ტფ. სახ. უნივერსიტეტის სასურსათო ქიმიის ლაბორატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განს—კმოხი

გუშინ, 17 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა ავსტრიელი მაესტრო განს კმოხი, რომელიც კონკურს გარეშე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკების მაესტროთა საჭადრაკო შეჯიბრებაში. შეჯიბრება გაიხსნება ტფილისში 20 სექტემბერს.

განს კმოხი პროფესიით ჟურნალისტია, იმ მოჭადრაკეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც უმეტეს დროს საჭადრაკო ლიტერატურულ ფრონტზე მოღვაწეობას ანდომებენ, ვიდრე პრაქტიკულ თამაშს. კორესპონდენტი ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებისა, იგი ამჟამად სამართლიანად ითვლება ერთერთ სერიოზულ თეორეტიკოსად, ჭადრაკის დარგში.

მოგვყავს ზოგიერთი მისი გამოსვლების შედეგები:

1925 წ. დებრეცინის შეჯიბრებაში მან დაიკავა პირველი ადგილი, სადაც წინ გაუსწრო ტარტაკოვერს, გრიუნფელდს და სხვ. 1926 წ. ბუდაპეშტში დაიკავა 3—5 ადგილი, კეჩკემეტში წინასწარ ჯგუფებში დაიკავა მეორე ადგილი ალეხინის შემდეგ; ხოლო ფინალში ვერ თამაშობს კარგად და გამოდის მხოლოდ მერვე ადგილზე. 1928 წ. ბუდაპეშტში შპილმანთან ერთად იყოფს მესამე და მეოთხე ადგილს. 1929-30 წ. ისევ შპილმანთან ერთად ტრისინ-ტურნირზე გაიყო პირველი ადგილი. უკანასკნელად 1930 წ. თამაშობს სანრემოს საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც უგებს რუბინშტეინს, ტარტაკოვერს, კოლს და სხვებს.

თამაშის ყაიდით კმოხი წმინდა პოზიციური სტილის მოჭადრაკეა, შლეხტერის მიმდევარი, კმოხს ჩამოჰყვა საკავშირო საჭადრაკო სექტორის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ერმევი.

დღეს, 18 სექტემბერს ჩამოვლენ მაესტროთა შეჯიბრების მონაწილენი რაუზერი (კიევი) და რაგოზინი (ლენინგრადი), უკანასკნელ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს კონკურსის გარეშე, დანარჩენი მონაწილენი ჩამოვლენ ხვალ.

* * *

ქრონიკა

— 19 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) შესდგება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პლენუმი აქტივთან ერთად შემდეგი დღის წესრიგით: 1. ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება მწერალთა საკავშირო ყრილობის შედეგებზე; 2. მიმდინარე საკითხები.

— 19 სექტემბერს საღამოთი, პლენუმის შემდეგ „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქცია მწერალთა სასახლეში იწვევს საწარმოო თათბირს, სადაც განხილული იქნება გაზეთის მომავალი ნომრის გეგმა.

— გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში ვასო გორგაძის წიგნი — „წიგნის დამზადება“ (სახელმძღვანელო წიგნაკი ავტორებისა და რედაქტორებისათვის) შეიცავს 128 გვ. და ღირს 2 მანეთი.

* * *

პარტკალენდარი

20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30) შესდგება მწერალ მ. ჯავახიშვილის მოხსენება თემაზე: „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის და მწერალთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ“. კრებაზე მოწვეულია პარტიული აქტივი და პროპაგანდისტები.

შალვა ბუაჩიძე

ტყუილა კი არ ქვია ამ მთას კოხტაგორა. მართლაც რა ლამაზია მისი მწვანეთ მობიბინე კოჩორი, რა წარმტაცი სურათი იშლება მისი მწვერვალიდან!

მარჯვნივ ცხრაწყაროს გადასავალი, რომელიც მრავლად იზიდავს მზის ამოსვლაზე დახარბებულ ტურისტებს. მარცხნივ ველივით გაწოლილი კავკასიონი თეთრად მოელვარე მყინვარით და იალბუზით წინ თავმოკვეთილი მთა, ჩამქრალი ვულკანი „თავკვეთილა“ და ჩრდილში მიმალული „შავნაბადა“, უკან კი ნაძვნარი, ნაძვნარი, ნაძვნარი...

გზა სულ მაღლა და მაღლა მიდის. ჩვენი „მორონი“ ხვნეშით ეომება დაყუდებულ მთას, ხან შესდგება სულის მოსათქმელად, ხან კიდევ ხტომა-ხტომით მოევლება თავს წვეტიან კლდეებს და მადიანად დაიჭიხვინებს, როცა პაწია ვაკე ნაგლეჯს დაინახავს.

ჩემი დღევანდელი მოგზაურობის გზა ტაბისწყურისკენაა. ბაკურიანიდან 18 კილომეტრის დაშორებით, 2080 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ვულკანიურ „თავკვეთელას“ ახლოს გადაჭიმულა უზარმაზარი ტბა ტაბისწყური, რომელიც თავის მოყვანილობით ადამიანის ყურს ჰგავს (აქედან მისი სახელიც: წარსულში ტბა-ყური, შემდეგში ტაბისწყური). ტბის სიგრძეა 7 კილომეტრი, განი—4.

ტაბისყური საინტერესოა არა მარტო იმით, რომ იქ თევზის სარეწაოა მოწყობილი. არა ნაკლებ საინტერესოა ის ტურისტული თვალსაზრისითაც: ტბა, რომელიც თავის სიმაღლით ბახმაროს უტოლდება. ტბაში კუნძული უძველეს ნაგებობათა ნანგრევებით. ტბის პირას 180 კომლიანი სოფელი წითელი საყდარი მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლით, მეთორმეტე საუკუნიდან დარჩენილი საყდრით.

ტბის აღმოსავლეთით ულამაზესი მთა შავნაბადა, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით თავმოკვეთილი „თავკვეთელა“ ტუფით და სხვა ვულკანური ამონაზეთქით, სამხრეთით ცნობილი ცხრაწყაროს გადასავალი, ცხრა ცივი წყაროთი და ულამაზესი მზით.

საქართველოს ტურისტულ საზოგადოებისათვის ყველაფერი ეს საკმაო არაა, რომ გახსნას იქ ღამის გასათევი ბინა. ცხრაწყაროს და ტაბისწყურს იცნობენ ევროპაში, მოსკოვსა, ლენინგრადსა და ციმბირში, საქართველოში კი თითო-ოროლა კაცმა თუ იცის მათი არსებობა. ეს უდაო „დამსახურება“ საქართველოს პროლეტარულ ტურიზმისა და ექსკურსიათა საზოგადოებას ეკუთვნის.

მაგრამ თავი დავანებოთ ტურისტებს. ჩვენ დღეს ტურისტული მიზნით არ მივდივართ ტაბისწყურისკენ. ტაბისწყურში მოწყობილია **თევზის ერთად-ერთი ქარხანა საქართველოში**, რომელიც კალმახის და ჩრდილოეთის მდინარეების მკვიდრის „რიაპუშკის“ მოშენების ცდებს აწარმოებს და ჩემი მოგზაურობის ობიექტსაც მისი მუშაობის გაცნობა შეადგენს.

გადავლახეთ დეკენისხევი, კიდევ ერთი უსახელო მწვერვალი და მოზრდილ პლატოზე გამოვედით. უნდა გამოვტყდე, თვითმფრინავში არასოდეს ვმჯდარვარ, მაგრამ ამ წუთში ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს თვითმფრინავიდან დავყურებ ამ უზარმაზარ მთებს და სადღაც უფსკრულში დაკარგულ ჩანჩქერებს.

პლატოდან მდ. ქციას ხეობას გადავდექით. ირგვლივ მთლად მწვანეში ჩამოფარული ეს პატარა მდინარე ოდესღაც ტაბისწყურის ტბას ერთვოდა, მაგრამ როდესაც ტბის ნაპირზე სოფელი გაჩნდა, გლეხებმა მას გზა აუქციეს, რადგან წალეკვის შეეშინდათ. ქცია ახლა მდ. ხრამს ერთვის.

— ოგანეს!—საიდან ინარჩუნებს ტაბისწყური წყალს, თუ მას მდინარე არსაიდან არ ერთვის—ვეკითხები ჩემს თანამგზავრს.

— ტაბისწყურის ფსკერზე რამდენიმე წყაროა, საიდანაც მუდმივ მოჩუხჩუხებს წყალი. ამავე დროს ტაბისწყურს ხვრელები აქვს ფსკერზე, საიდანაც წყალი მიწაში მიდის ერთ-ერთი ხვრელიდან წყალი გადის შავნაბადის ქვეშ და წალკაში ამოყოფს თავს, ხოლო მეორე ხვრელიდან გასული წყალი გამოდის სოფ. ბეჟანოსთან, ახალქალაქის რაიონში, და იქ წისქვილს აბრუნებს.

ოგანეს ადამიანცი „საქ. თევზის“ ტაბისწყურის სარეწაოს გამგეა. ის მეთევზეობის დიდი ენტუზიასტია. მან საკუთარი ხელით მოაწყო კალმახის მოსაშენებელი ქარხანა, რომელიც ერთადერთია საქართველოში, ხოლო მეორე ამიერ-კავკასიაში. ქარხნის სუფთა წყლით უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო იყო არსებულ წყაროს დონის ამაღლება, სამი ინჟინერი ჩამოვიდა საქართველოს თევზის ტრესტიდან და არც ერთმა არ მოკიდა ხელი ამ საქმეს. ბოლოს ოგანეს ადამიანცმა საკუთარი ინიციატივით და რისკით განიზრახა ამ ტექნიკური ამოცანის გადაჭრა და საუკეთესო შედეგსაც მიაღწია. წყაროც აწია და ქარხანაც მოაწყო.

გახარებულმა ადამიანცმა დეპეშა აფრინა ტფილისში· მოდით. ჩაიბარეთ ქარხანაო. ჩამოვიდა კომისია, დაადასტურა ქარხნის მოხდენილად აგება და ადამიანცი ათასი მანეთით დააჯილდოვა.

ლენინგრადიდან ჩამოტანილ „რიაპუშკას“ ქვირითის გასაცოცხლებლად საჭირო იყო ქარხანაში ვეისის სისტემის აპარატების დადგმა. საამისო მოწყობილობა (შუშის ქილები) გამოწერილია მოსკოვიდან, მაგრამ მის მიღებას დააგვიანდა, ქვირითი კი შენახვას არ ითმენს.

ადამიანცი მიდის ბორჯომის შუშის ქარხანაში, ყიდულობს ჩვეულებრივ ოთხლიტრიან ბოთლებს, წააჭრის მათ თავებს და ამზადებს იქედან „ვეისის აპარატებს“. ამ ბოთლებში გააცოცხლა მან 1.350.000 ცალი ქვირითი. იქედან ერთი მილიონი ცალი თაფარავანის ტბაში ჩაუშვეს, ხოლო დანარჩენი ტაბისწყურში.

ამისთვისაც ადამიანცმა ჯილდო მიიღო.

*

1842 წელს ფრანგი მეთევზის შვილმა და თითონ მეთევზემ **ჟოზეფ რემიმ** აღმოაჩინა კალმახის ხელოვნურად განაყოფიერების საშუალება. ამ აღმოჩენის საფუძველზე ნაპოლეონ მესამემ მოინდომა საფრანგეთის ყველა მდინარის და ტბის კალმახით ავსება, მაგრამ მისი განზრახვა განზრახვათ დარჩა. მან ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ თევზი ცხოველია და მოითხოვს თავის არსებობისათვის ისეთსავე პირობებს, როგორც ყოველ გვარი სხვა ცხოველი.

თევზისათვის არ კმარა მარტო წყალი, ისიც ყოველგვარი წყალი. ზოგი თევზი მოითხოვს ცივ წყალს, ზოგი თბილს. ზოგი დამდგარ, ნელა მავალ წყალს, ზოგი კიდევ სუფთა, ცივ, სწრაფად მავალ წყალს. ასეთია, მაგალითად, კალმახი. თევზი მოითხოვს საკვებს, ჟანგბადს სუნთქვისათვის.

დღევანდელმა მეთევზეებმა იციან ყველაფერი ეს. იქ, სადაც მეთევზეობა მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული. თევზს ცის საერთო ბალანსში. ამ მხრივ მისაბაძია შვეიცარიის მაგალითი, სადაც თითქმის ყოველ მდინარეზე არსებობს თევზის მოსაშენებელი ქარხანა. 1927 წელს ასეთი ქარხნების რიცხვი უკვე 246 აღწევდა.

საქართველოში მეთევზეობას არ აქვს ხანგრძლივი ისტორია. გეგმიანი მეთევზეობა ჩვენში 1929 წლიდან არსებობს. ამ წლიდან დაიწყო თევზის მოშენება ყარაიას ტბაში, თაფარავანში, ტაბისწყურში, პალეასტომში და სხვაგან, რამაც მალე გამოიღო ნაყოფი. ტაბისწყური 40 წლის განმავლობაში კერძო მოიჯარადრის ხელში იყო და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ტბას 200 ფუთზე მეტი თევზი მოეცა წლიურად. შარშან კი ტაბისწყურზე დაჭერილ იქნა 1300 ფუთი კალმახი და „რიაპუშკა“. წელს უნდა დაიჭირონ 1800 ფუთი.

კალმახი იმ თავითვე გავრცელებული იყო ტაბისწყურში. 1930 წელს ცდის სახით მდ. ვოლხოვიდან გადმოისროლეს ექვსი მილიონი ცალი ჩრდილოეთის თევზი „რიაპუშკა“, რომელსაც კალმახივით ცივი წყალი უყვარს და მასავით ძვირფასი ჯიშის თევზს ეკუთვნის. ამ ცდამ იშვიათი ნაყოფი გამოიღო. უკვე 1931 წლის შემოდგომიდან დაიწყო მისი ჭერა. 1932 წელს დაიჭირეს 400 ფუთი, ხოლო 1933 წელს—900 ფუთი.

„რიაპუშკას“ გარდა 1932 წელს სევანის ტბიდან გადმოისროლეს 500.000 ცალი იშხანის ქვირითი. აქედან 400.000 ცალი გაცოცხლებულ იქნა ტაბისწყურის ქარხანაში.

ამ ქარხნის დანიშნულებაა ძვირფასი ჯიშის თევზი მოაშენოს არა მარტო ტაბისწყურის ტბისთვის, არამედ სხვა ტბებისა და მდინარეებისთვისაც. მაგალითად, წელს ქარხანამ უნდა შეაგროვოს ერთი მილიონი ცალი კალმახის ქვირითი და სამი მილიონი ცალი „რიაპუშკას“ ქვირითი, აქედან ერთი მილიონი „რიაპუშკა“ ბაზალეთის ტბაში უნდა გაიგზავნოს, სადაც პირველად იწყება მისი მოშენება.

ტაბისწყური საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს მაღალხარისხოვანი მეთევზეობის განსავითარებლად. ამის ერთი მაგალითი: მიმდინარე წლის 22 ივნისს ტაბისწყურში დაიჭირეს ძვირფასი ჯიშის თევზი სიგა, რომელიც იწონიდა 1550 გრამს და სიგრძით იყო 45 სანტიმეტრი. ეს თევზი განვითარდა ტაბისწყურში, ის ჩამოტანილ იქნა ქვირითის სახით მდ. ვოლხოვიდან 1930 წლის 22 მარტს. მაგრამ ასეთი ზომის იზრდება არა მარტო სიგა. იყო შემთხვევა. ტბაზე დაიჭირეს კალმახი, რომელიც ექვს კილოს იწონიდა.

ტაბისწყურის თევზის ქარხანა მოწყობილია ლენინგრადის ქარხნის მსგავსად. დადგმულია იქ ორი აპარატი ვილიამსონის სისტემისა კალმახის მოსაშენებლად და 20 შუშის აპარატი ვეისის სისტემისა რიაპუშკას გასამრავლებლად. თვითეულ შუშის ქილაში შეიძლება მოთავსდეს 250.000 ცალი ქვირითი, რაც სამი წლის შემდეგ, თუ ყველა გაცოცხლდა, მოგვცემს 40.000 კილოგრამ თევზს. აქედან ჩანს, თუ რა უდიდესი როლი შეიძლება ითამაშოს თევზმა ხორცის პრობლემის გადაწყვეტაში.

*

ტფილისის თევზის მეურნეობის სარეწაოებიდან ტაბისწყური ყველაზე უკეთესადაა მოწყობილი. თევზის მომშენებელ ქარხნის გარდა, სარეწაოს აქვს კარგად გამართული ნედლი თევზის დასამარილებელი და სახმობი ფარდულები. თევზის საჭერი იარაღებით სარეწაო უზრუნველყოფილია მთლიანად, აქვს საკმაო ბადეები და ნავები. მათ შორის ერთი მოტორიანი ნავი.

მოტორი დიდ სამსახურს უწევს სარეწაოს. ქარიშხალიან ამინდში, რაც ასე ხშირია ტაბისწყურში, როდესაც ჩვეულებრივი ნავით შესვლა ტბაში შეუძლებელია, მოტორია ერთად-ერთი იარაღი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნას ტბიდან წინა დღით წყალში ჩაშვებული ბადეები.

სარეწაოს გამგეს ოგანეს ადამიანცს ფართო გეგმები აქვს. მას უნდა შემორაგვოს ტბის სანაპირო ტერიტორია, გააშენოს იქ ტყე, ნავთსაყუდთან მოაწყოს ყვავილნარები შადრევნებით, რომლებიც მილების საშუალებით დაკავშირებული იქნებიან ტბასთან. ტბიდან მზარდი თევზები მილის საშუალებით შევლენ შადრევნების აუზში და აქ ყველას შეეძლება თვალნათლივ გაეცნოს ტაბისწყურის ტბის მოსახლეობას.

ოგანეს ადამიანცი დიდი მეოცნებეა. ის ხშირადა ხედავს ტაბისწყურში ექსკურსანტებს მოსკოვიდან და ლენინგრადიდან და ამან აღუძრა მას სურვილი კულტურული დასვენების კერად გადააქციოს თავისი ტბა. ტყის და ყვავილნარის გაშენება, წყალსადენის გაყვანა, ტბის შემოღობვა, მუშებისათვის კულტურული პირობების შექმნა, ახალ-ახალი ჯიშის თევზების მოშენება—ყველაფერი ეს ირევა მის გონებაში და სწრაფ განხორციელებას მოითხოვს.

— ტაბისწყური ბორჯომის რაიონის მარგალიტია,—ამბობს ოგანეს ადამიანცი.

ეს მარგალიტი ჯერ არ არის სათანადოდ გამოყენებული.

მარტო ის ფაქტი, რომ ტაბისწყურლები გაურბიან სარეწაოზე მუშაობას და 28 მეთევზის ნაცვლად სარეწაოს ამჟამად მხოლოდ ექვსი ყავს და ამ მიზეზით არ სრულდება თევზის ჭერის გეგმა, — ცუდად ახასიათებს ტაბისწყურის ორგანიზაციებს.

ტაბისწყური მეცხოველეობის რაიონია. მასთან მას აქვს მეთევზეობის გაშლის საშუალებაც. პირუტყვი პლიუს თევზი—აი, ის ძალა, რომლითაც უნდა გადაწყდეს ხორცის პრობლემა.

◆

რუსთაველის თეატრი რესპ. სახალხო არტ. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1934–35 წ. სეზონი.

ტფილისის სტუდენტობისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გამოშვებულია აბონემენტების სპეციალური სერიები 50 % შეღავათით. სტუდენტთა აბონემენტების მიღება შეიძლება პროფსაბჭოში სტუდ-ბიუროს ოთახში 2 სართულში სტუდენტთა აბონემენტის განსაზღვრულობისა გამო დაკვეთა უნდა მოხდეს ამ თავითვე. უკანასკნელ ვადათ ცხადდება 1 ოქტომბერი. ნ. 457

აბაშის რაიონის კოლმეურნეობათა განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ დაბა აბაშაში 1934 წლის 14 სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე გაიმართება დიდი ორკვირიანი
საკოლმეურნეო ბაზრობა
„იარმარკა“.
სადაც დაშვებული იქნება ვაჭრობა ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და პირუტყვით, აგრეთვე სამრეწველო, შინა სამრეწველო ნაწარმით და სხვა. ბაზრობის დღეებში გაიმართება „ალე[illegible]ა“ სრბა და სხვა გასართობებით. ეწყობა ჭიდაობა, მარულა და ველო გადარბენა შეჯიბრზე.
153 აბაშის რაი-კ-მ-განყოფილება

საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტრო ქსელების სამმართველო
აცხადებს დაინტერესებულ საწარმოთა საყურადღებოდ (გარდა ტფილისის ტერიტორიაზე მდებარე წარმოებების) რომელნიც უკვე შეერთებულნი არიან საქართველოს მაღალ ძაბვის ელექტრო ქსელების სამმართველოს სისტემასთან, ან რომელთაც სურთ შეერთება 1935 წელს, რომ ელექტრო ენერგიაზე განაცხადების წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1934 წლ.—15 ოქტომბერი.
ორგანიზაციები, რომელნიც აღნიშნულ ვადისათვის არ წარმოადგენენ განაცხადებს, დაკარგავენ უფლებას შეერთებულ იქნან საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტრო-ქსელების სამმართველოს სისტემასთან 1935 წელს.
განაცხადებები უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგი მისამართით: ტფილისი, კამოს ქუჩა № 28 ს. ს. რ. მაღალი ძაბვის ელექტრო-ქსელების სამმართველო (განაცხადების ფორმების მიღება შეიძლება იქვე).
160 დირექცია.

ყოფ. ბაღი „არტო“
დღეს 18 სექტემბერს
სეზონის დახურვა
ქართული ესტრადის საღამო
მონაწილეობენ საუკეთესო ძალები
დაწვრილებით აფიშებში. 162

ხდება საქართველოს სარეწაო-სატყეო კავშირში შემავალ [illegible] არტელის
ლუხუნის ლიკვიდაცია
პრეტენზიები მიიღება 25 სექტემბრამდე. მისამართი: [illegible] სახ. რაიონი სოფ. წესი—ვანო ელბაქიძეს.
571 ლიკვიდატორი.

მისამართები: რედაქციის. რუსთაველის პროსპექტი № 14, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—69—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04.

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 668